# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 8 ნოემბერი 2004 №260 (2281) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# თასი საქართველო პირველია, აქა! საქართველო გუნდია

# დავით მუჯირი: ცოტა გაგვაქვს და თავი ძლივს გაგვაქვს

ავსტრიულმა „შტურმმა" მრავალმატჩიან მოუგებელ სერიას უგანა და ამ უქმეებზე შინ 3:1 გაამწარა „ტიროლი", რაშიც თავისი წილი დავით მუჯირმაც დაიდო. სტუმრები სწორედ ჩვენებურის გოლმა გატეხა, რომელიც მე-80 წუთზე გავიდა და ანგარიში 2:0 გახდა. შედეგად, გრაცელები კვლავ მე-9 ადგილზე არიან, თუმც მაჩანჩალა „ბრეგენტს" უკვე 5 ქულით დაშორდნენ და მთლად გასავარდნად არა აქვთ საქმე. ვინ იცის, იქნებ „არნოლდ შვარცენეგერზე" შეგდებული გოლი „მუმუს" საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაში დაეხმაროს.

მუჯირი აშკარად კმაყოფილი ტონით გვესაუბრა, როდესაც გუშინ ავსტრიაში შევეხმიანეთ და წარმატება მივულოცეთ...



— მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მოვიგეთ და დათარსული სერია შევწყვიტეთ. რთული მატჩი კი გამოვიდა, 1:0 ვიგებდით და მეორე ტაიმში მწვრთნელმა ანგარიშის შენარჩუნებაზე ააგო ტაქტიკა. „ტიროლი" მაგრად გვიტევდა, მაგრამ კონტრშეტევაზე გავიტანე.

— როგორ გაიტანე?

— ორი ორზე გავედით, მარტივად გავათამაშეთ ბურთი და საჯარიმოს მისადგომებიდან დაბალ კუთხეში დავარტყი. მთლიანობაში, ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი, მოგებამაც სულზე მოგვისწრო...

— „ტიროლს" კი მოუგეთ, მაგრამ შარშანდელივით ისევ არგავარდნისთვის იბრძვით...

— ასეა, პირველ ოთხეულს ველარ დავეწევით, თუმც თუნდაც მეხუთე ადგილზე გასვლა თავისუფლად შეგვიძლია — „ზალცუბრგი" მხოლოდ ოთხი ქულით გვისწრებს და საერთოდაც, ცხრილის ქვემოთ მყოფი ხუთი გუნდი დაახლოებით თანაბარი ძალისაა. აქ თამაში არ არსებობს, წინასწარ თქვა გამარჯვებული.

— არადა, ავსტრიული საზომით „შტურმს" კარგი შემადგენლობა ჰყავს და შესაფერისი შედეგი რატომ არ გაქვთ?

— ძალიან ცოტა გოლი გაგვაქვს, თავდასხმაში გვიჭირს, რაც რგოლებს შორის ურთიერთკავშირის დარღვევის ბრალია. არ ვიცი, შესაძლოა, ამ თამაშით დავიწყოთ გამოსწორება.

— რამდენიმე დღეში საქართველოს ნაკრები დანიას მასპინძლობს. ალენ ჟირესის ზარის იმედი გაქვს?

— ვნახოთ. თუ გამომიძახებენ, ამას რა აჯობებს...

**ილია ნანობაშვილი**

---

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · 16 · 14 ტური · ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ზესტაფონი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — დინამო

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

# რა გამოვა?!

## ზესტაფონი თავს წირავს, დინამო ძალას ატანს

მეთოთხმეტე ტური დღეს მთავრდება და იქნებ ზესტაფონში ტურის ყველაზე საინტერესო მატჩიც გაიმართოს.

თუ ჩემპიონატის და საუეფასთასო თამაშებს დავთვლით, „დინამომ" ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო და დღეს გამარჯვება ძალიან სჭირდება, რათა რწმენა და ლიდერობა დაიბრუნოს. „ზესტაფონი" კი ის გუნდია, ფული რომ არ უჭირს და გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავს. იმასაც ამბობენ, ზესტაფონში საამმატჩოდ ქუთაისიდან „ტორპედოს" გულშემატკივრები ჩავლენ „ზესტაფონის" საქომაგოდო.

გუშინ კი „ზესტაფონის" და „დინამოს" ფეხბურთელებს გამოველაპარაკეთ, ზაზა ზირაქიშვილს და გიორგი შაშიაშვილს

*ზაზა ზირაქიშვილი:* შანსებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცი, ნიუკასლის შემდეგ რა კონდიციებში იქნება „დინამო".

— გასაგებია, მაგრამ „დინამო" ხომ კლასით აღემატება „ზესტაფონს"...

— დინამო" კი მაინც „დინამოა", მაგრამ ბრძოლა მასთანაც შეიძლება. ამ მომენტისთვის კი მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ ფორმაშია ახლა „დინამო".

— „ზესტაფონი" დაცვით ტაქტიკას აირჩევს?

— არა მგონია, ასე მოხდეს. ისე, დანაკლისი გვაქვს — ყვითელი ბარათების გამო დაცვაში კახა სიდამონიძე მოგვაკლდება. მე მცირე ტრავმა მაწუხებს, ზედა კუნთი დავიზიანე, მაგრამ მაინც ვითამაშებ.

— ამბობენ, თამაშზე „ტორპედოს" გულშემატკივრებიც მიდიან „ზესტაფონის" საქომაგოდო...

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ისე კი, „ზესტაფონის" საშინაო მატჩებს ოთხი ათასამდე გულშემატკივარი ესწრება, მაგრამ ისიცაა, რომ „დინამოს" ორშაბათს ვეთამაშებით. როგორც უნდა იყოს, ჩვენ თავგანწირვით ვითამაშებთ.

*გიორგი შაშიაშვილი:* კანდიციების სრულად აღდგენა ვერ მოვასწარით, ნიუკასლში თამაშს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთელებზე მგზავრობაც მოქმედებს. ჩემპიონატში ორმა გუნდმა გაგვასწრო და გადატვირთული კალენდარიც გველის, მაგრამ ლიდერობის დაბრუნება და ჩემპიონობა ძალიან გვჭირდება.

— ფსიქოლოგიურადაც ხომ არ არის „დინამო" გადაღლილი?

— საკუთარ თავში უნდა ჩავიხედოთ — ბოლო თამაშები წავაგეთ, ბევრი გოლი გავუშვით — უნდა ვირწმუნოთ, რომ წაგება აღარ შეიძლება. უეფას თასზე თამაში ერთია, მაგრამ თუ ჩემპიონები ვერ გავხდით, ამას არავინ გვაპატიებს.

— მაინც რა შედეგს ელით ზესტაფონში?

— ლადო ახალაიას წელი აწუხებს და დღეს არ უვარჯიშია. შოთა კაშიას ვარჯიშზე მუხლი ისე ასტკივდა, რომ ველარ გააგრძელა. ითამაშებენ თუ არა ისინი „ზესტაფონთან", ჯერ გაურკვეველია. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, თავს ძალა უნდა დავატანოთ და ისე უნდა ვითამაშოთ.

**დავით თავართქილაძე**



ზაზა ზირაქიშვილი (მუქი მაისურით) „დინამოსთან" კუნთმტკივანიც ითამაშებს



გიორგი შაშიაშვილი: „დინამო" დაღლილიც იბრძოლებს

---





## გოლის მოლოდინში

რა ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ფეხბურთში?

ახლოვდება სანაკრებო თამაში დანიელებთან და „დინამოს" კი დარჩა ორი მატჩი უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში.

პირველს ყველა ინტერესით მოელის, რადგან დანია ბევრი რამის საზომია დღევანდელ ფეხბურთში. არც მეორეა ნაკლებად საინტერესო იმის მიუხედავად, რომ „დინამოს" თამაში ამ ჩვენთვის საოცნებო და მოულოდნელ ჯგუფში გამოცხადებული მარცხის ამბავს ჰგავს და ყველაზე კარგი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ „დინამომ" ეს მარცხები და პატარები — დიდების თამაში თავისი შინა საქმისთვის, ხვალინდელი დღისთვის გამოიყენოს.

მაგალითად, კარგია, როცა მეკარე მამალაძეს ალან შირერის იდაყვი ხვდება. საერთოდ კი, იმის დამახსოვრებაც კარგია, რომ მეკარეებს შირას იდაყვები იშვიათად ხვდებათ, რადგან, როცა შირერი ბურთზე ხტება, მეკარესთან ერთად მას ორი მცველი უხტება, ასევე იდაყვებგამოშვერილნი და იმ შირერის იდაყვებს საკუთარ თავზე ილებს, შირერს კი ბარე ათჯერ გაუტეხია თავი (ბოლოჯერ ორი კვირის წინ, „ჩარლტონთან" თამაშში). ამ თავზე ალებიდან კი ის გამოდის, რომ 10-დან 6-ჯერ შირერი თავს ვერ ურტყამს.

აი, ამ ამბავშია სასარგებლო ჯგუფში ყოფნა.

მეორე მხრივ კი, „დინამოს" ორ თამაშში არ გაუტანია გოლი (ეროვნული პირველობის თამაშებს არ მივათვლი) და გოლს კი, რაღა დასამალია, მოუთმენლად მოველით, რადგან სწორედ გოლი გამოხატავს თამაშში შენ ხილულად ყოფნას. უგოლო საბრძოლო ფრე სხვა რამეა, მაგრამ გოლით შენ მონიშნავ საკუთარ ყოფნას და ბრძოლას.

გოლი კი არ ჩანს, თუმცა, ალბათ გამოჩნდება. ახლა კი აღარ ვიცი, რა სჯობდა ნიუკასლში, ყველანაირი ხერხით და თავზე ხელის ალებით შევკვდომოდით იმათ და რაც გამოვიდოდა, გამოვიდოდა, თუ ასე თამაში ჯობდა, რომელშიც ამხანაგურობა იმ მხრივ შეიგრძნობოდა, რომ რახან არცერთ ნიუკასლელს კოჭი არ ასწვია ამ თამაშში, გულიც არ აეწვათ და თამაშ-თამაშ შეუბერეს. საინტერესოც ეს იქნებოდა, „დინამო" რომ სიხისტეს ცდილიყო, რა გამოვიდოდა? ანდა, რამდენხანს შეძლებდნენ ჩვენები ამგვარ თამაშს? მაგრამ „დინამოს" ორფრონტა თვე უდგას და მართლაც მოქანცული ჩანს...

მოკლედ, საინტერესოა.

მაგრამ, გოლი...

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე 16 ჩემპიონატი ლიგა წრე 14 ტური




უიღბლობაც ეს არის... აკაკი დევაძე დანიელებთან თამაშამდე დაშავდა

თბილისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპი. 800 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 3:2 ბათუმი

1:0 გოგუა (12), 1:1 ჭელიძე (15), 2:1 ფიფია (38), 3:1 იაშვილი (41), 3:2 ხომერიკი (90)

| თბილისი | ბათუმი |
|---|---|
| თბილისი: დევაძე (შეყრილაძე 44), მიქიაშვილი (ქემოკლიძე 85), ელიავა, ორბელაძე, გ. კვარაცხელია, ფიფია (აფციაური 85), გეწაძე, დ. ოდიკაძე, გოგუა, ხოჯავა, ს. იაშვილი<br>სათადარიგონი: ა. კალაძე, გ. ნუგ. ჭელიძე, მიკუჩაძე, მესხი<br>მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | ბათუმი: გრი[illegible] ბეგლარ თედორაძე, ექონია (ხომერიკი 46), ი. მახარაძე, ხუჯაძე, ქაცარავა (მალანია 46), ი. შენგელია, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი (ჩიკვილაძე 55), გ. ნოდ. ჭელიძე<br>სათადარიგონი: ი. ბალაძე, ბესიკ თედორაძე, მანჩხავა, ლლონტი<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |

გაფრთხილება: ხოჯავა (16), მახარაძე (29), შენგელია (40), გოგუა (42), ფირცხალაიშვილი (50), იაშვილი (51), ელიავა (73)

გაძევება: გრიშიკაშვილი (86)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

# ჟირესმა გოლები მოისმინა

**კახა შალამბერიძე**

„თბილისი“ 3:2 „ბათუმი“ — ასეთი იღბლიანი დებიუტი გამოუვიდა დედაქალაქელთა ახალ თავკაც ლუის ცაკარიასს.

მართალია, „თბილისის“ ხელმძღვანელები პერუელ-ბერძენ-გერმანელი სპეციალისტის დანიშვნას თითქოს ჯერ არ აპირებდნენ, მაგრამ... გუშინდელი მატჩისას გუნდის თამაშს სწორედ ცაკარიასი უძღვებოდა. ამგვარად, „ლოკომოტივის“ მერე „თბილისი“ მეორე ქართული კლუბია ულვაშა ლუისისთვის.

ცაკარიასმა „ბათუმთან“ შეხლამდე ორი დღით ადრე პირველი ვარჯიშიც ჩაუტარა გუნდს და, ჩანს, ამ მცირე დროშიც შეძლო ფეხბურთელების გაცნობა. ყოველ შემთხვევაში, თამაშისას უცხოტომელი მწვრთნელი რამდენჯერმე წამოხტა სკამიდან და... „ფიფო“, „გოჩა“ „იაშ“... სახელები თუ მეტსახელები ერთხელაც არ შეშლია.

ცაკარიასის თემა დროებით ამით ამოვწუროთ და თამაშზე ვთქვათ.

„თბილისი“ ფავორიტად რომ მიიჩნეოდა, საკამათო არ უნდა იყოს. მატჩიც ისე დაიწყო, რომ საეჭვო აღარაფერი ჩანდა — მასპინძლებმა თავიდანვე მოიგდეს ბურთი და გოგი ფიფიამ ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

ფიფიას მე-12 წუთზეც შეეძლო გატანა, როცა სანდრო იაშვილის პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა. ბურთი მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ იმავ იაშვილს მიუვიდა და სანდრომ ამჯერად გოგიტა გოგუა დაასაქმა — უძლიერესი დარტყმა ზუსტი გამოდგა — 1:0.

ბათუმელები მალევე გამოფხიზლდნენ, ნახევარმცველებიც უფრო გააქტიურდნენ და თვალსაამო ბურთაობაც გაჩაღდა. საფეხბურთო სეირი გოლით ფასობს და სტუმრებმაც მადლს მარილი მოაყარეს — ვიტალი დარჩიძის პასით გიორგი ჭელიძემ გაათანაბრა — 1:1.

გაიხარეს სტუმრებმა და უფრო მონდომებით განაგრძეს თამაში. „თბილისს“ გონზე მოსასვლელად რამდენიმე წუთი დასჭირდა, მერე კი კვლავ ამუშავდა გოჩა ხოჯავა და იაშვილიც აიყოლია; აქტიური იყო გოგუაც...

38-ე წუთზე ბათუმის საჯარიმოში ისევ დაცხა. იაშვილი მცველისგან გათავისუფლდა და კარშიც დაარტყა — სოსო გრიშიკაშვილის მოგერიებულ ბურთთან ფიფია ამოიზარდა და 2:1.

თბილისელთა გოლი და საქართველოს ნაკრების თავკაც ალენ ჟირესის ზარი ერთი იყო. ფრანგი „ოლიმპზე“ მყოფ გია გურულს შემოეხმიანა და მისთვის საინტერესო დეტალები გამოჰკითხა. საინტერესო მართლაც ბევრი რამ იყო და, ცხადია, გურულმაც დაწვრილებით მოახსენა ჟირესს.

ნაკრების მწვრთნელთა სატელეფონო საუბარს ერთი გოლიც მოჰყვა: სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნული ჯარიმის შესრულება ხოჯავამ იკისრა — მაღალი ბურთი ჩააწოდა და... ვინ შეწვდებოდა მრგვალ საგანს? რა თქმა უნდა, იაშვილი — 3:1 და ტაიმის დამთავრებამდე ოთხიოდ წუთი რჩება...

ვაგლახ, ამ ოთხმა წუთმა ვერც „თბილისს“ მისცა რამე, ვერც „ბათუმს“ და... ვერც საქართველოს ნაკრებს. ეს რაღა შუაშიაო, იკითხავთ და გიპასუხებთ: მსაჯის სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე აკაკი დევაძე დაშავდა. „თბილისისა“ და ნაკრების მთავარი მეკარე ჭელიძესთან შეჯახებამ აზარალა და შესაცვლელი შეიქნა. ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ ნაკრებს 17 ნოემბერს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის დანიასთან და დევაძის ტრავმამ ალენ ჟირესს უკვე გაუჩინა საფიქრალი, თუმც იმედია, მანამდე კაკო გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

მეორე ნახევარი შედარებით მშვიდი გამოდგა. „თბილისს“ საქმე მოთავებული ჰქონდა და ისე და იმდენს აკეთებდა, რომ სტუმრებს შეტევისთვის არ ეცალათ. თბილისელები მოედნის ცენტრშივე ცდილობდნენ ბურთის აღებას, წინ კი ხოჯავა-იაშვილის დუეტით აწვალებდნენ მეტოქეს.

გეწაძეს, გოგუას, იაშვილს, ხოჯავას და ოდიკაძეს კარგი მომენტებიც ჰქონდათ ანგარიშის გასაზრდელად, მაგრამ ხან არაზუსტად ურტყამდნენ, ხანაც მეკარე ყოჩაღობდა; ერთხელ ხოჯავამ ძელსაც გაარტყა ბურთი.

გოჩას 86-ე წუთზეც შეეძლო გატანა, მაგრამ კარიდან გრიშიკაშვილი გამოვიდა და ბურთს დაეუფლა. ტრიბუნებმაც იხუვლეს და გაკვირვებულმა მეკარემ ბალახს რომ დახედა, საჯარიმოს ხაზი ვერსად ნახა. ან კი როგორ ნახავდა, როცა მის გარეთ იყო გამოსული. სოსომ ბურთს ცივად გაუშვა ხელი, მაგრამ... რა თქმა უნდა, წითელი ბარათი აუფრიალეს.

„ბათუმს“ სამივე შეცვლა გაკეთებული ჰქონდა და ხელთათმანები თემურ მალანიამ მოირგო. ათკაცა „ბათუმმა“ კი ბოლო წუთზე ლევან ხომერიკის ლამაზი გოლით შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება.

ეს იყო და ეს. „თბილისმა“ ცაკარიასის თავკაცობით პირველივე მატჩი მოიგო და მდევარი „ბათუმიც“ ჩამოიშორა. თავად ჰერ ლუისი კი ნამატჩევს, ცხადია, მშვენიერ ხასიათზე იყო...

## საუკეთესო

### სანდრო იაშვილი



*ერთადერთი, რასაც ამ ბიჭს უწუნებენ, ხასიათია. „თბილისის“ აწ ყოფილმა თავკაცმა გიორგი დევდარიანმა თქვა კიდეც, იაშვილს ყველა მწვრთნელთან ექნება პრობლემებიო. მაგრამ ერთი რამ ფაქტია — იაშვილი თუ მოინდომებს, თამაშობს და თან თამაშობს ძალიან კარგად. სანდრომ გუშინაც მოინდომა, ბევრი იბრძოლა, ბევრი ირბინა, ორი გოლი თანაგუნდელებს გაატანინა, ერთი თავადაც შეაგდო და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც ის მივიჩნიეთ.*



ლუის ცაკარიასი უკვე თბილისელია



სანდრო იაშვილმა (№23) თავისი თავური გაიტანა




ალეკო გოგობერიშვილმა ზურაბ ქვაჩახიას ვალერი გაგუას პასით გაუტანა და მილოცვაც მისგან მიიღო

# ფოთს აგრესია ზღვაზე დარჩა

თბილისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

1:0 გაგუა (31), 2:0 გოგობერიშვილი (74)

| ლოკომოტივი | კოლხეთი |
|---|---|
| ლოკომოტივი: ბათიაშვილი, რ. ონიანი, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, გოგობერიშვილი, სიჭინავა, ბურდული, ლ. ჩხაიძე (ქებაძე 76), გაგუა, ბობოხიძე (სირბილაძე 83) | კოლხეთი: ქვაჩახია, ჭითანავა, კუნჭულია (ვართაგავა 75), ქობულაძე, აკობია, ძოძუაშვილი, ღონღაძე (ნ. ნარსია 69), თაყაძე, მარგალიტაძე, გ. თოდუა, ზ. ქუთათელაძე |
| *სათადარიგონი: გვარამაძე; სოსელია, გიორგი შენგელია, მედოევი* | *სათადარიგონი: გიზო შენგელია; კილასონია, დ. ნარსია* |
| მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

გაფრთხილება: ბობოხიძე (54), გ. ონიანი (65), ქებაძე (85)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

დავით თავართქილაძე

თბილისის „ლოკომოტივს" ეროვნული ჩემპიონატის ბოლო სამი თამაში არ მოეგო და ნავსი ფოთის „კოლხეთთან" გატეხა, რომელიც ბოლო დროს ძალიან ყოჩაღად გამოიყურებოდა — რაც გუნდი სერგო გაბელაიამ ჩაიბარა, „კოლხეთმა" თითქოს თვალებში გამოიხედა.

გუშინ კი ფოთელებს ცოტა ბრძოლისუნარიანობა და მეტოქესთან შედარებით არცთუ ცოტა კლასი აკლდათ — „ლოკომოტივმაც" უფრო კლასის ხარჯზე მოიგო, ვიდრე სხვა კომპონენტებით.

თამაში არცთუ შლეგად დაიწყო, თითქოს გუნდები ერთმანეთის შეცდომებს ელოდნენ. ასეთი მოთელვის შემდეგ ინიციატივა „ლოკომოტივმა" გამოიჩინა და საგოლე მომენტსაც გამორჩა — ნაკუთხური ბურთი გიორგი ონიანს მიუვიდა, მაგრამ ვერ იყოჩაღა. ცოტაც და, „კოლხეთს" მიეცა დაწინაურების შანსი, მაგრამ ზვიად ქუთათელაძემ ახლოდან თავური ააცილა „ლოკომოტივის" კარს.

მასპინძლები მეტწილად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც ლადო ბურდული აქტიურობდა. სწორედ მან წამოიწყო საგოლე იერიში, ბურთი ალეკო გოგობერიშვილს გადასცა, მან მიხეილ ბობოხიძეს, ვინც მეტოქე მცველს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და კარის გასწვრივ ისე ჩააწოდა, რომ ვალერი გაგუას გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

შესვენებამდე „ლოკომოტივს" ერთხელაც უნდა ეხეირა, მაგრამ ბურდულის ფლანგურ პასს როინ ონიანმა ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტი ცაცია მიაყოლა.

მეორე ტაიმი ფოთელებმა მხნედ დაიწყეს, შეტევაში უფრო გაბედულად და უფრო დიდი ძალებით მიდიოდნენ, თუმც ჯერ მასპინძლებმა შექმნეს სახიფათო მომენტები, რომელთაგან საუკეთესო გიორგი ონიანს ჰქონდა — თავურით ძელს გაარტყა ბურთი. და „კოლხეთის" მომენტიც — მოწინააღმდეგის საჯარიმოში მყოფმა მერაბ ძოძუაშვილმა ბურთის შეუჩერებლივ კარში გადაგზავნა მოინდომა, მაგრამ ერთობ არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა.

„კოლხეთს" გათანაბრება სწყუროდა, მაგრამ ფოთელებს კლასის გარდა შეტევაში აგრესიულობაც აკლდათ. „ლოკომოტივს" კი კონტრიერიშებზე თამაშის საშუალება მიეცა, რაშიც ულაზათო არ ყოფილა — რამდენიმე მწვავე ჩხვლეტა აგემა მოწინააღმდეგეს.

„ლოკომოტივის" მეორე გოლი: გაგუამ ფლანგური ჯარიმა „კოლხეთის" საჯარიმოში არ ჩააწოდა, ცენტრისკენ დაუგორა ბურთი გოგობერიშვილს, რომელმაც დაბალ შორეულ კუთხეში გაუტანა ზურაბ ქვაჩახიას.

მასპინძლებს დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ, ირაკლი სირბილაძემ ბურდულის ჩაწოდებულ ბურთს თავი კი შეაგება, მაგრამ ძელს გაარტყა...

## საუკეთესო

### ლადო ბურდული



*ძველ ლადო ბურდულს მალე იხილავთ — გვითხრა რამდენიმე კვირის წინ ამ მარჯვენაფლანგელმა, ვინც „ლოკომოტივმა" „დინამოსგან" ინათხოვრა. გუშინ ბურდულმა სწორედ ისე ითამაშა, მისივე დანაპირების ასრულებას რომ შეეფერებოდა — ეს არ იყო ბურდულის საუკეთესო მატჩი, მაგრამ ლადო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი მართლაც იყო. თანაც, „ლოკომოტივს" კონტრიერიშებზე თამაშის საშუალება მიეცა და, როცა გუნდში ფეხმალი ბურდული გყავს, ასეთ დროს ეს ერთობ დიდი კოზირია*



ლადო ბურდულს ბურთს ვარდნითაც ვერართმევდნენ

საქართველოს ჩემპიონატი 16
პირველი ლიგა
პირველი წრე
12 ტური

**იბერია 0:0 საგარეჯო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 11 | 9 | 1 | 1 | 31:12 | 28 |
| სპარტაკი | 11 | 7 | 4 | 0 | 18:8 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 2 | 2 | 20:6 | 23 |
| ამერი | 11 | 7 | 1 | 3 | 31:7 | 22 |
| კახეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:17 | 22 |
| დინამო 2 | 11 | 5 | 1 | 5 | 21:20 | 16 |
| ცხინვალი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 15 |
| ჩიხურა | 11 | 4 | 2 | 5 | 9:12 | 14 |
| იბერია | 11 | 3 | 5 | 3 | 10:12 | 14 |
| მერანი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:17 | 13 |
| ლოკომოტივი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:18 | 12 |
| გურია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| რუსთავი | 11 | 3 | 1 | 7 | 15:20 | 10 |
| ოლიმპი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | 9 |
| საგარეჯო | 12 | 1 | 3 | 8 | 9:30 | 6 |
| მალაროელი | 11 | 0 | 3 | 8 | 3:27 | 3 |

დღეს

კახეთი – ბორჯომი
ცხინვალი – მერანი
ოლიმპი – გურია
ამერი – რუსთავი
ლოკომოტივი 2 – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – მალაროელი
დინამო 2 – ჩიხურა

ფეხბურთი
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა
პირველი ლიგა
8 ნოემბერი
მეთორმეტე ტური
ამერი — რუსთავი
თბილისი რუსთავი
დასაწყისი 14 საათზე. დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www.fcameri.ge

ქუთაისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 2:1 დილა

0:1 შატაკიშვილი (35), 1:1 დარსაძე (80), 2:1 მეგრელაძე (85პ)

**ტორპედო:** სტურუა, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, ს. თოდუა, მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, ბოლქვაძე, მეგრელაძე, მუმლაძე (გ. დარსაძე 49)
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; ადუაშვილი, დათუნაშვილი, ლალაძე, ჯანჯღავა, რევაზიშვილი
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**დილა:** სომხიშვილი, მგელაძე, ჩაჩუა, ქარქუზაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, კ. ხანიშვილი (მძინარიშვილი 55), შატაკიშვილი (გაბლაია 83), დ. ხანიშვილი (ჯობაძე 63), წუწუნავა, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მასურაშვილი, ხატიაშვილი, თოლორდავა
**მწვრთნელი:** სოსო ვაშაკიძე

**გაფრთხილება:** ბაბუნაშვილი (69), მძინარიშვილი (72)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

# დილაა თუ საღამო, უნდა მოინდომო

## თამაში ვაშლი არ არის, ზუსტად შუაში გაჭრა

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან



დავალება მიცემულია: გაბელიამ იცის, რომ მეგრელაძე გაიტანს

მიმდინარე ჩემპიონატში გორის „დილამ“ ექვსი შეხვედრა გამართა სტუმრად და ექვსივეში დამარცხდა. ნაკლებსავარაუდო იყო, ქართლელებს ეს უსიამოვნო სერია ქუთაისში შეეწყვიტათ, თუმც თამაში ისე წარიმართა, შესაძლო იყო, სტუმრებს სამი ქულა წაეღოთ. მატჩის მიწურულს გორელებმა „ტორპედოს“ მიძალებას ველარ გაუძლეს და აი, მაშინ გატყდნენ.

თამაში კი ორმხრივი შეტევებით დაიწყო, ჯერ სულთანიშვილის სახიფათო დარტყმა მოიგერია სტურუა, შემდეგ ნერგაძეს და მეგრელაძეს შეექმნათ ხელსაყრელი მომენტები და ორჯერვე სომხიშვილმა ივაჟკაცა. მალე დათო ხანიშვილსაც შეეძლო გატანა, მაგრამ მცველმა დაასწრო. გოლი კი მოულოდნელად გავიდა. შატაკიშვილმა ბურთი კარიდან საკმაოდ შორს, 30-იოდე მეტრში მიიღო, ოდნავ წინ წაიწია და უძლიერესი დარტყმით თავისიანები დააწინაურა. მასპინძლები უფრო დაიბნენ და ხუთ წუთში წუწუნავას რეალური შანსი მიეცა, მაგრამ ხუთიოდე მეტრიდან კარს ააცილა. ტაიმის ბოლო წუთზე კი სომხიშვილმა მეგრელაძის დარტყმული ჯარიმა ცხრიანიდან ჩამოხსნა.

მეორე ტაიმში გაბელიამ ინერტული მუმლაძის ნაცვლად დარსაძე ჩართო თამაშში და მალე მას რეალური მომენტი შეექმნა, თუმც მეკარეს ვერ აჯობა. „ტორპედო“ ბევრს უტევდა, თუმც უგოლოდ, მე-80 წუთზე კი ბაბუნაშვილმა ოთხი მეტოქე მოატყუა, პირით ხაზთან მისულმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც უმეთვალყურეო დარსაძემ თავით გაიტანა — 1:1. მასპინძლებს ეს ანგარიშიც არ აძლევდათ ხელს და აკი ვა-ბანკზე წავიდნენ, თავდასხმაში ტანმაღალი მცველი გამეზარდაშვილი გადაისროლეს. ამან გაამართლა: 84-ე წუთზე „ბაიანა“ მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც მეგრელაძემ უნაკლოდ შეასრულა.

*სოსო ვაშაკიძე:* თამაში კონტრშეტევაზე ავაგეთ, პირველ ტაიმში სამი რეალური მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში „ტორპედომ“ მონდომების და გამოცდილების ხარჯზე მაინც გვაჯობა. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია.

*ოთარ გაბელია:* „დინამოსთან“ მოგების შემდეგ ბიჭებმა იფიქრეს, „დილა“ ბოლო ადგილზეა და ადვილად მოვუგებთო. პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა, შესვენების შემდეგ კი მოვინდომეთ და ურთულეს ბრძოლაში სამი ქულა ავიღეთ. კოშკაძეს ტვინის შერყევა აქვს და ამიტომ დაგვაკლდა. მომავალ ტურში „ბათუმთან“ ბაბუნაშვილიც არ გვეყოლება ყვითლების გამო.



დავით გამეზარდაშვილმა (№25) „ტორპედოს“ სამქულიანი პენალტი მოუტანა

მცხეთა. 7 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი

1:0 ადამია (13), 2:0 კვარაცხელია (39), 2:1 დოლიძე (44)

**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, პ. დათუნაიშვილი, კვახაძე, ინწკირველი, გველესიანი, ლ. კვარაცხელია, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე (ქოქიაშვილი 73), ადამია (სახოკია 87), მარცვალაძე, ე. მერებაშვილი (ვ. გოჩაშვილი 55)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; იმედაშვილი, დ. ლომაია, ებანოიძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**სიონი:** ასლანაძე, კობაური, ცქვიტაია, ზაზაშვილი (ნ. ლაბაძე 40), ღამბაშიძე, ფეიქრიშვილი, ვერემჩუკი (გოგოლაძე 74), ბ. შელია, გ. დოლიძე, დ. არჩვაძე (გ. კილასონია 46), რუსია
*სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; მიქავა, ოქრომჭედიძე, ჩალაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**გაფრთხილება:** ფეიქრიშვილი (52), დოლიძე (69), გოგოლაძე (86)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

# რაცა ვართ, ესა ვართ...

## სიონი წონაშიც მძიმედაა და ცხრილშიც

**ილია ნანობაშვილი** მცხეთიდან

თამაშის ბოლო წუთები იყო, ბოლნისელმა მამუკა რუსიამ გოლი რომ გაიტანა და თამაშგარეს გამო გააუქმეს. ეს მომენტი მართლაც საეჭვო იყო, მაგრამ ნაკლებად იყო საეჭვო ის, ზედ ბოლო წუთზე ვიტელი ოთარ მარცვალაძე სტუმართა მეკარეს პირისპირ რომ შეეყარა — თანამსაჯმა ცირდავამ კვლავ ალამი ააფრიალა და „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელებისგან გინებების კორიანტელი მოისმინა.

ამ მცხეთურ ჯახს ინტრიგა გამოწერილი ჰქონდა: მართალია, „ვიტ ჯორჯია“ და „სიონი“ ახლა განსხვავებულ მიზნებს ეჭიდებიან, მაგრამ გასული ჩემპიონატის სკანდალური „ოქროს მატჩი“ ხომ ამათ შორის იყო და იმ დღიდან დაიწყო სწორედ ბოლნისელთა ჩაუფსკრულება.

ვეტერინარებმა საამმატჩოდ დავით იმედაშვილი მოისაკლისეს და მის ნაცვლად მარცხენა მცველობა ოლეგ გველესიანმა ჩაიბარა. ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი 3-4-3 სქემით ეკვეთა „სიონს“, მარცვალაძე-მერებაშვილ-ადამიას ტრიოდან თითოეული მონაცვლეობით ითავსებდა პლეიმეიკერობას და ბოლნისელი მცველები ხშირად იბნეოდნენ. გოლიც ლოგიკური იყო: გიორგი ადამიამ ლამის 20-მეტრიანი გარღვევა აულებელი დარტყმით დაალაზათა — 1:0. მცირე ხანში ერეკლე მერებაშვილი და ლაშა ნოზაძე პირისპირ გავიდნენ ასლანაძესთან, მაგრამ ბოლნისელთა მეკარე მატროსოვივით გადაეფარა მათ დარტყმულებს, დამატებაზე კი ადამიამ ააცილა.

ნელ-ნელა „სიონმაც“ გამოიღვიძა, მაგრამ ბოლნისელთა შეტევები, ჰა-ჰა, ვიტელთა საჯარიმოს მისადგომებამდე თუ აღწევდა, თორემ მამარდაშვილს ბუზსაც ვერ უფრენდა. „ვიტ ჯორჯიას“ მეორე გოლი კი ბრიტანული ყაიდისა იყო — დათუნაიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, მარცვალაძემ თავით დაუგდო ლევან კვარაცხელიას და მასპინძელთა საყრდენმა ნახევარმცველმაც ზუსტად შეარჩია კუთხე. თამაში მოთავებული გვეგონა, მაგრამ ბოლნისელმა გრიგოლ დოლიძემ 23-25 მეტრიდან მილიმეტრების სიზუსტით დაარტყა მამარდაშვილის კარის ცხრიანში: ასეთ გოლებს პეწს ვერ დაუკარგავ, მაგრამ კურიოზული კი ეთქმოდა, რადგან ვიტელთა გოლკიპერს კარი დაკარგული ჰქონდა და რაღაც უილაჯოდაც გადახტა.

ძალიანაც გვინდა, ღარიბი მეორე ტაიმი რაღაცით გავამდიდროთ, მაგრამ ნახევრადსაგოლე მომენტიც არ გვახსენდება. რუსიას გაუქმებულ გოლსა და ბოლო წუთზე ვიტელთა ხელმძღვანელების გაშმაგებაზე კი უკვე გითხარით. სხვა მხრივ, „სიონს“ იქნებ ძალიანაც უნდოდა შტურმის მოწყობა, მაგრამ მონდომება ერთია, შეძლებისა რა გითხრათ, თანაც ადამია და მარცვალაძე მუდმივად ბორკავდნენ ბოლნისელთა მცველებს, რითაც წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

და კიდევ, ბოლნისელთა რამდენიმე ფეხბურთელის ჭარბწონიანობა მოგვხვდა თვალში, რაზეც ნამატჩევს „სიონის“ თავკაცმა *გიორგი ყიფშიძემაც* დაიჩივლა, რა ვქნა, შეკრებაგაუვლელი გუნდი ჩავიბარეთ და რაც ვართ, ეს ვართო. „მსაჯები ცდებოდნენ, თუმც ამაზე ლაპარაკი არ ღირს. სამწუხაროდ, ლამაზი გოლის შემდეგ გათანაბრება ველარ შევძელით“ — დაამატა ყიფშიძემ.

*ვლადიმერ ხაჩიძე* კი თავისი შეგირდების მოდუნებაზე წუხდა, კურიოზულმა გოლმა მოულოდნელად დაძაბა მატჩი, „სიონმა“ ტემპს უმატა, მაგრამ საბოლოოდ დამსახურებულად მოვიგეთო.

### საუკეთესო

#### გიორგი ადამია



*გაცვეთილი ფრაზა კია, მაგრამ თავდამსხმელი მაინც გოლით ფასობს. თანაც გოლსაც ხომ გააჩნია — გიორგიმ ინდივიდუალურად გაინავარდა „სიონის“ მცველებში და ეს მომენტიც რომ არა, მთელი თამაშის მანძილზე ფინტებით „ატერორებდა“ მეტოქეს. მისი „დანაშაულიცაა“, ბოლნისელები ისე რომ ვერ უტევდნენ, როგორც უნდოდათ და საჯარიმოს ვერ სცილდებოდნენ.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 14 | 8 | 5 | 1 | 21:8 | 29 |
| თბილისი | 14 | 8 | 3 | 3 | 31:17 | 27 |
| დინამო | 13 | 8 | 2 | 3 | 28:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 3 | 4 | 26:19 | 24 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:7 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:12 | 22 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:23 | 11 |
| სიონი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:31 | 11 |
| ზესტაფონი | 13 | 3 | 1 | 9 | 9:30 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11:26 | 8 |

# შააფს ორი წუთი მოჰპარეს

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XII ტური

**ლევერკუზენი 4:1 ფრაიბურგი**

0:1 კულიბალი (29), 1:1 ფრეიერი (48), 2:1 კრჟინოვეკი (53), 3:1 ფრეიერი (88), 4:1 ვორონინი (90)
ლევერკუზენი: ბუტი, ბალიტჩი, კალსენბრაკერი, როკე ჟუნიორი (ბაბიჩი 46), პლასენტე, რამელო, პონტე (ფრეიერი 46), შნაიდერი, კრჟინოვეკი, ფრანცა (ვორონინი 88), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ფრაიბურგი: გოლცი, კრუპკე (კონდე 73), შუმანი, მუჰამადი, აოგო (ბერნერი 63), რიტერი, ცქიტიშვილი, კაირო, კულიბალი, სანოუ (ანტარი 46), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, ბალიტჩი, მოჰამადი, სანოუ, რიტერი, აოგო
გაძევება: მოჰამადი (66)
მსაჯი: კინჰიოფერი
22 500 მაყურებელი

**მაინცი 1:1 გლადბახი**

0:1 სვერკოში (13), 1:1 ნოვესკი (58)
მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი, ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ნ. ვაილანდი (იოვანოვიჩი 19; ვაიგელტი 87), გერბერი (ვებერი 87), ბაბაცი, და სილვა, კეისი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გლადბახი: კამპა, კორჟინეცი, პლეტჩი, შტრასერი, ციგე, ულიხი, გაედე, კლუგე, ჰაინცი (ბროიხი 85), ნოივილი, სვერკოში (ვან ჰუტი 82)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: ბაბაცი, გერბერი, კორჟინეცი
მსაჯი: კესლერი
20 300 მაყურებელი

**ბაიერნი 3:0 ჰანოვერი**

1:0 პიზარო (3), 2:0 მაკაი (80), 3:0 გერერო (90)
ბაიერნი: კანი, კუფური, დემიკელისი, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი (იერემისი 77), ბალაკი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი (შოლი 46), მაკაი, პიზარო (გერერო 68)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, შრიოტერი, ლალა (შტაინერი 63), დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი, კრისტიანსენი (ლიანდრო 63), შტენდელი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ბალაკი, შვაინსტაიგერი, ლალა, შტენდელი
მსაჯი: ფროილიხი
62 000 მაყურებელი

**ბოხუმი 1:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ლემბი (26), 1:1 ლოკვენცი (62)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი (ვანდერი 38), კოლდინგი, კალა, კნავსი, მაიხელბეკი, მალტრიცი (ბეკმანი 61), ზდებელი (პროისი 76), ვოში, მადსენი, ლოკვენცი, ტროიანი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ლემბი, ჰერჩი, მეტომო, ჩატო, რიდლი, ენგელჰარდტი, ზაიცი (ტებერი 50), ზანდი (ტიმი 81), კოსოვსკი, ამანატიდისი (იანცერი 71)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ტროიანი, მალტრიცი, ვიზე, ტებერი
მსაჯი: ფანდელი
22 977 მაყურებელი

**არმინია 1:0 დორტმუნდი**

1:0 ბაკლი (8)
არმინია: ჰაინი, ლენსე, ლანგკამპი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაიერი (რადუჩანუ 78), ოვომოიელა, შკელა (პორკელიო 90), ბაკლი, ვატა (რაუვი 90)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბერგდოლმო (დემელი 56), ბრზენკა, ვიორნსი, ნ. იენსენი, კელი, კრინგე, დედე, როსიცკი, კოლერი, ევერტონი (სენესიე 81)
მწვრთნელი: ვან მარვიიკი
გაფრთხილება: შულერი, ლენსე, ნ. იენსენი, დედე, დემელი
გაძევება: ნ. იენსენი (58)
მსაჯი: ფლეშერი
26 601 მაყურებელი

**ჰერტა 1:1 ვერდერი**

0:1 ხარისტიასი (80), 1:1 მადლუნგი (90)
ჰერტა: ფიდლერი, შრიოდერი, მადლუნგი, სიმუნიჩი, ფატი (ნოინდორფი 84), ნ. კოვაჩი, მიულერი, ბაშთურქი, მარსელინიო, ჟილბერტო, რაფაელი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ვერდერი: რინკე, ისმაელი, ბაუმანი, შტალტერი, დ. იენსენი (დავალა 85), შულცი, ერნსტი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე (ვალდესი 61), კლასნიჩი (ხარისტიასი 70)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: შრიოდერი, ნ. კოვაჩი, დ. იენსენი, ბოროვსკი, ერნსტი
მსაჯი: ალბრეხტი
47 411 მაყურებელი

**ნიურნბერგი 4:0 ვოლფსბურგი**

1:0, 2:0 მინტალი (1, 28), 3:0 შროტი (45), 4:0 მინტალი (49)
ნიურნბერგი: შეფერი, ლეანდრო სილვა (პაულუსი 29), კანტალუპი, ნიკლი, ლ. მიულერი, ბანოვიჩი (სლოვაკი 74), ლარსენი, ს. მიულერი, მინტალი, ვიტეკი, შროტი (კესლინგი 69)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი, კიროგა (ბილიშკოვი 75), ჰოფლანდი (ფრანცი 46), ვაიზერი (კლიმოვიჩი 46), ტიამი, შნოორი, კარჰანი, დალესანდრო, ბრდარიჩი, მ. პეტროვი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: შროტი, ლიანდრო სილვა, ბანოვიჩი, კარჰანი
გაძევება: დალესანდრო (8)
მსაჯი: გრაფი
22 291 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:2 შალკე**

1:0 ბაინლიხი (47), 1:1 ჰანკე (79), 1:2 ლინკოლნი (81)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე, ვან ბუიტენი, ბოულაროუზი, კლინგე, ვიკი, იაროლიმი (ვ. გლები 84), ბარბარესი, ბაინლიხი (რომეო 82), მპენზა, ტაკაჰარა (მაჰდავიკია 46)
მწვრთნელი: თომას დოლი
შალკე: როსტი, კამპოსი, ბორდონი, ვალდოხი, კობიაშვილი, პოულსენი, ჰ. ალტინტოპი (ვარელა 56), ლინკოლნი, ასამოა, სანდი, აილტონი (ჰანკე 66)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: კლინგე, ბაინლიხი, კამპოსი
მსაჯი: ტრაუტმანი
54 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 4:0 ჰანზა**

1:0 მეისნერი (7), 2:0 კურანი (38), 3:0 კაკაუ (56), 4:0 ჰელდტი (80)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბაბელი (დელპიერე 43), შტრანცლი, ლამი, სოლდო (ვრანიეში 46), მეისნერი (ტიფერტი 83), ჰელდტი, ა. გლები, კურანი, კაკაუ
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰანზა: შობერი, მიორლი, პერსონი, ჰილი (მადსენი 59), რიდლევიჩი, ლანტცი, სებასტიანი, ტ. რასმუსენი, დი სალვო, ოლბოკი (არვიდსონი 75), პრიკა
მწვრთნელი: იური შლიუნცი
გაფრთხილება: ჰინკელი, ჰილი, პრიკა
მსაჯი: ვაინერი
46 000 მაყურებელი

600-წუთიანი უგოლობის შემდეგ როი მაკაიმ ნავსი „ჰანოვერთან“ მატჩში გატეხა. ჰოლანდიელმა მესამე წუთზე კლაუდიო პიზაროს გაატანინა, შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი თავად შეაგდო, ხოლო თამაშის მიწურულს პაულუ გერერომ მაკაის პასით იხეირა და „ჰანოვერის“ ხუთმატჩიანი უძლეველი სვლა მიუნხენში შეწყდა.

ნიურნბერგელმა მარეკ მინტალმა „ვოლფსბურგთან“ ჰეთ თრიქი მიითვალა და ბუნდესლიგელ ბომბარდირთა სათავეში მოექცა. მასპინძლები, რომლებსაც ვოლფსბურგელთა ყოფილი თავკაცი ვოლფგან ვოლფი წვრთნის, პირველივე წუთზე დაწინაურდნენ. ამის შემდეგ სტუმართა არგენტინელი ლეგიონერი ანდრეს დალესანდრო მარკუს შორტთან ჩხუბისთვის გააძევეს და „ნიურნბერგს“ კაცნაკლული „მგელების“ დამარცხება გაუადვილდა.

ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგი“ ლევერკუზენში სომაილა კულიბალის გოლით იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში მოედანზე ბაიერელთა ტრავმამოშუშებული ფორვარდი პაულ ფრეიერი შევიდა და დუბლი შეასრულა. ფრაიბურგელებს იუსეფ მოჰამადი გაუძევეს და ათკაცა სტუმრები იშტაზე მოსულ მასპინძლებთან რალას გახდებოდნენ. იაცეკ კრაჟინოვეკმა და ანდრეი ვორონინმა თითოც მიაყოლეს და „ფრაიბურგი“ ცხრილის ქვედა სამეულში ჩაეშვა.

ბრემენის „ვერდერმა“ მიჯრით მეორე ფრე ითამაშა. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე „მუსიკოსები“ ანგელოს ხარისტიასის გოლით იგებდნენ, რომელმაც მეტოქე ფრედი ბობიჩის შეცდომით ისარგებლა. მესამე დამატებულ წუთზე მარსელინიომ კუთხური ჩააწოდა და ალექსანდრ მადლუნგმა გაათანაბრა, რის გამოც ბრემენელთა მწვრთნელი თომას შააფი გაცეცხლდა, მეოთხე მსაჯმა ერთი დამატებული წუთი აჩვენა და სამი სპრდან გახდნო.

ბილეფელდში „არმინიამ“ დელრონ ბაკლის აურეული გოლით დორტმუნდის „ბორუსია“ დაამარცხა. დორტმუნდელებს მეორე ტაიმის დასაწყისში მცველი ნიკლას იენსენი უხეშობისთვის გაუძევეს.

„კაიზერსლაუტერნი“ ბოხუმში პერვ ლემბიმ დააწინაურა, მაგრამ მასპინძელმა ვრატისლავ ლოკვენცმა ყოფილ გუნდს მეორე ტაიმში გაუთანაბრა და მხოლოდ ქულა გაატანა.

„მაინცს“ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი ტრავმის გამო აკლდა და ამიტომაც გაუჭირდა მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“, რომელსაც ახალი მწვრთნელი, დიკ ადვოკაატი ჰყავს. ვაცლავ სვერკოშმა გლადბახელები დააწინაურა, მაგრამ ნოვესკიმ გაათანაბრა და „მაინცი“ პირველი საშინაო მარცხისგან იხსნა.

ლევან კობიაშვილის „შალკე“ ჰამბურგში 79-ე წუთამდე აგებდა, თუმც ორ წუთში ორი გოლი გატანა შეძლო და ლიდერ „ვოლფსბურგს“ ქულებით გაუტოლდა.

**მაჟა ხუციშვილი**



მიხაელ ბალაკის თავური

### II ბუნდესლიგა

#### XII ტური

**ბურგჰაუზენი 0:0 ტრირი**

**აინტრახტი 2:0 აუე**

1:0, 2:0 ლენტი (45, 81)

**კარლსრუე 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 დანდი (16)

**კიოლნი 3:0 ალენი**

1:0, 2:0 შერცი (39, 45), 3:0 სინკევიჩი (78)

**დინამო 2:2 ფიურტი**

0:1 ფაინბიერი (17), 1:1 ოპიცი (46), 2:1 შოლცე (85), 2:2 ფაინბიერი (90)

**კოტბუსი 3:0 ერფურტი**

1:0 მესაროში (39), 2:0 მოხტარი (76), 3:0 ბაუმგარტი (90)

**ობერჰაუზენი 1:1 ესენი**

1:0 ბაჩუ (10), 1:1 კიოიო (56)

**ზაარბრიუკენი 4:1 მიუნხენ 1860**

1:0 ბენჩიკი (4), 2:0 დიანე (13), 2:1 ლემანი (23), 3:1 ჰაგნერი (77), 4:1 ბორტულუ (84)

*დუისბურგი — ალემანია დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:14 | 26 |
| ფიურტი | 12 | 7 | 3 | 2 | 15:8 | 24 |
| დუისბურგი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:12 | 22 |
| ალემანია | 11 | 6 | 3 | 2 | 25:10 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:15 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 12 | 5 | 2 | 5 | 18:14 | 17 |
| ტრირი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:16 | 17 |
| უნტერჰახინგი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:17 | 16 |
| კოტბუსი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| მიუნხენი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | 16 |
| ალენი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:14 | 15 |
| აუე | 12 | 4 | 2 | 6 | 17:16 | 14 |
| აინტრახტი | 12 | 4 | 2 | 6 | 21:23 | 14 |
| კარლსრუე | 12 | 3 | 5 | 4 | 15:17 | 14 |
| ესენი | 12 | 2 | 5 | 5 | 18:24 | 11 |
| დინამო | 12 | 3 | 2 | 7 | 15:23 | 11 |
| ერფურტი | 12 | 2 | 5 | 5 | 5:16 | 11 |
| ობერჰაუზენი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:22 | 9 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XV ტური

ბრაუნშვაიგი — ზტ. პაული 1:0; ქემნიცი — არმინია მ 5:1; მიუნსტერი — უნიონი 0:0; ურდინგენი — ოსნაბრიუკი 1:4; ლიუბეკი — დორტმუნდი მ 3:2; ვერდერი მ — პადერბორნი 0:1; ვოლფსბურგი მ — ჰამბურგი მ 0:0; ვუპერტალი — კილი 4:1; ჰერტა მ — კიოლნი მ 4:3

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XIV ტური

ბაიერნი მ — მაინცი მ 0:0; ზიგენი — ჰოფენჰაიმი 0:1; აუგსბურგი — ფოიხტი 0:0; დარმშტადტი — ელვერსბერგი 1:2; ფულენდორფი — ნოტინგენი 2:0; შტუტგარტი მ — რეგენსბურგი 4:0; აალენი — კიკერსი 0:0; ვეჰენი — ოფენბახი 2:3; კობლენცი — მიუნხენი მ 1:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვოლფსბურგი | 12 | 8 | 0 | 4 | 20:18 | 2 | 24 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:6 | 8 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:12 | -6 | 9 |
| 2 შალკე | 12 | 8 | 0 | 4 | 18:16 | 2 | 24 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:10 | 3 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 9 |
| 3 შტუტგარტი | 12 | 7 | 2 | 3 | 24:12 | 12 | 23 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 12 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 |
| 4 ბაიერნი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:12 | 7 | 23 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 10 |
| 5 ვერდერი | 12 | 6 | 2 | 4 | 24:14 | 10 | 20 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 5 | 10 |
| 6 ჰანოვერი | 12 | 6 | 2 | 4 | 19:14 | 5 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 |
| 7 მაინცი | 12 | 5 | 4 | 3 | 21:18 | 3 | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 6 | 14 | 6 | 1 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 5 |
| 8 ლევერკუზენი | 12 | 5 | 3 | 4 | 21:18 | 3 | 18 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:7 | 11 | 16 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | -8 | 2 |
| 9 არმინია | 12 | 5 | 2 | 5 | 12:12 | 0 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 8 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 9 |
| 10 ნიურნბერგი | 12 | 4 | 4 | 4 | 22:18 | 4 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 13:13 | 0 | 8 |
| 11 ჰერტა | 12 | 3 | 6 | 3 | 14:11 | 3 | 15 | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 2 | 8 |
| 12 დორტმუნდი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:17 | -3 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 |
| 13 გლადბახი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:18 | -2 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 3 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 |
| 14 ჰამბურგი | 12 | 4 | 1 | 7 | 16:20 | -4 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 1 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 4 |
| 15 ბოხუმი | 12 | 2 | 5 | 5 | 16:23 | -7 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | -6 | 5 |
| 16 ლაუტერნი | 12 | 3 | 2 | 7 | 14:22 | -8 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 4 |
| 17 ფრაიბურგი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:23 | -12 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | -1 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:16 | -11 | 4 |
| 18 ჰანზა | 12 | 2 | 2 | 8 | 10:25 | -15 | 8 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 9 |
| ნოივილი (მიონხენგლადბახი) | 8 |
| ბაკლი (არმინია) | 8 |
| კლოზე (ვერდერი) | 7 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 7 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 6 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 6 |

### XIII ტური

13-14 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ლაუტერნი | : | დორტმუნდი |
| ფრაიბურგი | : | არმინია |
| ბოხუმი | : | ბაიერნი |
| ჰანოვერი | : | მაინცი |
| გლადბახი | : | ნიურნბერგი |
| ვოლფსბურგი | : | შტუტგარტი |
| ჰანზა | : | ჰამბურგი |
| შალკე | : | ჰერტა |
| ვერდერი | : | ლევერკუზენი |

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XII ტური

# მაურინიუ ინგლისის თავში

### კრისტალ პალასი 1:1 არსენალი

0:1 ანრი (63), 1:1 რიიპილაჰტი (65)
კრისტალ პალასი: კირალი, ბოისი, სორონდო (ლაიგერტვოოდი 24), პოპოვიჩი, გრენვილი, როუტლედჯი (ლაკისი 52), რიიპილაჰტი, ჰიუზი, უოტსონი, კოლკა (ფრიდმანი 80), ენდრიუ ჯონსონი
მწვრთნელი: იან დოუვი
არსენალი: ლემანი, ლორენი, სიგანი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი (ბერხკამპი 72), ვიეირა, ფაბრეგასი (ფლამინი 81), პირესი (ვან პერსიე 72), რეიესი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სიგანი
მსაჯი: დინი
26 193 მაყურებელი

### ლივერპული 0:1 ბირმინგემი

0:1 ანდერტონი (77)
ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი, ჰიიპია, კარაგერი, ტრაორე, ლუის გარსია, ჰამანი (ბისკანი 85), ალონსო, რიისე (მელორი 73), სინამა-პონგოლე (ფინანი 65), კიუელი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი, აპსონი, გრეი, გრონკიაერი (ლაზარიდისი 63), იზეტი (კლეპამი 82), სევიჯი, კლემენსი (ანდერტონი 63), დ. ჯონსონი, ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ხოსემი, ლუის გარსია, ჰამანი, ჯონსონი
მსაჯი: რენიე
42 669 მაყურებელი

### ჩელსი 1:0 ევერტონი

1:0 რობენი (72)
ჩელსი: ჩეხი, ფერეირა, კარვალიუ, ტერი, ბაბაიარო, მაკელელე, ლამპარდი, ტიაგო (კეჟმანი 58), რობენი, დაფი (ჰუტი 82), გუდიონსენი (ჯერემი 78)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, ვეირი, სტაბსი, პისტონე (მაკფადენი 84), უოტსონი (კემპბელი 80), ოსმანი (ჩედვიკი 90), ჩეჰილი, გრავესენი, კილბეინი, ბენტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: რობენი, კილბეინი, გრავესენი, ბენტი
მსაჯი: რაილი
41 965 მაყურებელი

### ასტონ ვილა 3:0 პორტსმუთი

1:0 უიტინგემი (18), 2:0 ანჰელი (25), 3:0 სოლანო (40)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დილანი, სამუელი, სოლანო (ჰიცლშპერგერი 85), მაკკანი, ჰენდრი (დევისი 78), უიტინგემი, კ. კოული (მური 68), ანჰელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
პორტსმუთი: ჰისლოპი, პრიმუსი (გრიფინი 38), დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი, ლუა ლუა, ფეიე (სისე 83), მეზაგი (ჰიუზი 62), ქვოში, იაკუბუ, ფულერი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: სამუელი, ანსუორთი
მსაჯი: ჰაისლი
32 633 მაყურებელი

### ტოტენჰემი 2:3 ჩარლტონი

0:1, 0:2 ბარტლეტი (17, 39), 0:3 ტომასი (50), 1:3 რ. კინი (69პ), 2:3 დეფო (79)
ტოტენჰემი: რობინსონი, პამაროტი, ნაიბეტი, კინგი, ბუნიევჩევიჩი, დევისი (ციგლერი 45), მენდესი, რედნაპი (კარიკი 59), რ. კინი, კანუტი, დეფო


REUTERS ლონდონიდან
არიენ რობენის ამ გოლმა „ჩელსი“ გაალიდერა

მწვრთნელი: მარტინ იოლი
ჩარლტონი: კაილი, იანგი, პერი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, კიშიშევი, ჰოლანდი, მერფი (ფორჩუნი 89), ტომასი (კონჩესკი 84), ჯ. იოჰანსონი (იუელი 81), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ტომასი, იანგი
გაძევება: ბარტლეტი (68)
მსაჯი: ბერი
35 423 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 2:2 ვესტ ბრომვიჩი

1:0 სვენსონი (28), 1:1, 1:2 ერნშოუ (29, 37), 2:2 სვენსონი (87)
საუთჰემპტონი: ბლეინი, კენტონი, ლუნდეკვამი, იაკობსონი (მაკკანი 60), ვან დამი, ნილსონი (პრუტონი 84), ტელფერი, დელაპი, ანდერს სვენსონი, ფილიპსი, ბლაკშტოკი (ორნეროდი 63)
მწვრთნელი: სტივ უიგლი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, შიმეკა, დ. მური, პურსე, პ. რობინსონი, გერა (კუმასი 83), ენდი ჯონსონი, კლემენტი, გრინინგი, კანუ (ჰორსფილდი 77), ერნშოუ
მწვრთნელი: ფრენკ ბაროუზი
გაფრთხილება: ბლაკშტოკი, კენტონი
მსაჯი: ბენეტი
31 057 მაყურებელი

### ნორვიჩი 1:1 ბლექბერნი

1:0 მატიას სვენსონი (56), 1:1 დიკოვი (86)
ნორვიჩი: გრინი, ედვორტი, ფლემინგი, ჩარლტონი, დრური, ჯონსონი (ჰენდერსონი 45), ჰოლტი, ფრანსისი, მაკკენზი (მაკვაიგი 79), მატიას სვენსონი, ჰაკერბი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ტოდი, იოჰანსონი, მაკიველი, ემერტონი, თუგაი (ფლიტკროფტი 73), ბ. ფერგიუსონი, რიდი, დიკოვი (სტიდი 90), ბოტროიდი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ჯონსონი
გაძევება: ბოტროიდი (44)
მსაჯი: დანი
23 834 მაყურებელი

### ნიუკასლი 1:4 ფულემი

0:1 კ. ჯონი (28), 0:2, 0:3 მალბრანკი (65, 71პ), 0:4 ბოამორტე (76), 1:4 ბელამი (77)
ნიუკასლი: ჰარპერი, ა. ჰიუზი (რობერი 57), ელიოტი, ობრაიენი, ბერნარი (ამეობი 68), ბელამი, ბათი, ბოიერი, ჯენასი, შირერი, კლუივერტი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ფულემი: კროსლი, ვოლცი, ნაითი, რემანი, ბოკანეგრა, მალბრანკი, პ. დიოპი, პემბრიჯი, ბოამორტე, ე. კოული, კ. ჯონსი (რაძინსკი 57)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ობრაიენი, ვოლცი
მსაჯი: ვები
51 118 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:1 ბოლტონი

0:1 პედერსონი (72), 1:1 ბოატენგი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, მაკმაჰონი (მორისონი 81), რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ, პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი, დოუნინგი, ჰასელბაინკი, ჟობი (ვიდუკა 45)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი (ჰაიმი 54), ნგოტი, იერო, გარდნერი, იანაკოპულოსი (პედერსენი 62), სპიდი, ნოლანი, დიუფი (პოოლი 88), კ. დევისი, ჯაიდი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: კედრუ, ჰანტი, კ. დევისი, დიუფი
გაძევება: იასკელაინენი (86)
მსაჯი: უოლტონი
29 656 მაყურებელი

### მანჩესტერი 0:0 სიტი

მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, მილერი (გიგზი 46), როი კინი, სქოულზი (რუნი 77), რონალდო, საა, სმიტი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
სიტი: ჯეიმსი, მილსი, დანი, დისტინი, ჯორდანი, ფლოიდი, ბოსველტი, მაკმანამანი, სიბიერსკი, რაიტ-ფილიპსი, ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: როი კინი, ალან სმიტი, ჯორდანი, ფლოიდი
გაძევება: სმიტი (89)
მსაჯი: პოლი
67 863 მაყურებელი

პარასკევს, ჟაკ სანტინი „ტოტენჰემის“ ვარჯიშზე არ მივიდა და აღარც არასდროს მივა — სიდედრის ავადმყოფობამ ფრანგ მწვრთნელს გადადგომა ათხოვინა, თუმცა, იმასაც ამბობენ, სანტინის ძალიან უჭირდა დირექტორ ფრენკ არნესენთან და თანაშემწე მარტინ იოლთან ურთიერთობაო.

ახლა, სანტინი აღარ არის და წლის ბოლომდე, მწვრთნელად ალბათ სწორედ იოლი იქნება.

„ტოტენჰემმა“ კი, როგორც იქნა, გაიტანა გოლი, თანაც ორი, ოღონდაც მას შემდეგ, რაც სამი გაუშვა „ჩარლტონისგან“.

მაგრამ მე-12 ტური სულ სხვა რამით გამოდგა მნიშვნელოვანი — ლიდერი შეიცვალა. „ჩელსიმ“ არიენ რობენის პირველი პრემიერლიგური გოლით გატეხა „ევერტონის“ ძალიან ხისტი წინააღმდეგობა, ხოლო „არსენალმა“ კვლავ ვერ მოიგო სტუმრად „კრისტალ პალასთან“ და მეორე ადგილზე ჩავარდა. ჟოზე მაურინიუ სიხარულს ვერ მალავდა: ეს 1:0 არ იყო უბრალო გამარჯვება, „ევერტონმაც“ გვარიანად ახტუნავა ლონდონელთა მეკარე და საერთოდ, თამაში მეტად ტევადი და სამეკარეოდ რთული გამოდგა.

„ეს განსაკუთრებული გამარჯვებაა განსაკუთრებულ მეტოქესთან. „ევერტონი“ ლიგის ყველაზე მაღალი და ღონიერი გუნდია, უტეხი, შემტევი, აგრესიული სულით. თუმცა ჩვენ აუცილებლად გვინდოდა სამი ქულა. გუნდმა ივარგა, არ გავტყდით. სტუმრებს 2 500 კაცი ახლდა თან, ჩვენი პუბლიკა 36 ათასი იყო და მათ მეტს მოვთხოვდი, სამაგალითოდ სწორედ ევერტონულ ქომაგობს დავუსახავდი“ — თქვა ნამატჩევს ჟოზე მაურინიუმ.

„არსენალს“ კი რა? 63-ე წუთზე ტიერი ანრის მორიგი გოლი და იქვე „პალასის“ საპასუხო: ვასილის ლაკისის კროსი და აკი რაიჰილაჰტის ზუსტი დარტყმა. ლაკისს გმირობა შეეძლო: ამ გოლიდან 1 წუთის შემდეგ კარის წინ მყოფმა ბურთი ხარიხას გადააცილა. „პალასი“ ძალიან მომზადებული დაუხვდა „მეთოფეებს“.

„ენფილდზეც“ დიდი ამბავი დატრიალდა, ლივერპულში „ბირმინგემმა“ სეზონში პირველი გასვლითი გამარჯვება იზეიმა. ბერიკაცი დარენ ანდერტონი შეცვლაზე შევიდა, შორ ძელთან დაუდარაჯდა ბურთს და „ლივერპული“ პირღია დატოვა. ეს თამაშის მიწურულს იყო, სადავეები კი მასპინძლებს ეპყრათ.

მასპინძლებმა ბარე შვიდი საგოლე მომენტი შექმნეს, ოღონდაც მერსისაიდლებს ნამდვილი თავდამსხმელი არ ჰყავთ, ემილ ჰესკის კი ამჯერად ლურჯი, ბირმინგემული მაისურა ეცვა.

დიდი [illegible] კი მანჩესტერში იყო, „ოლდ ტრაფორდზე“ [illegible] მასპინძლობდა. კევინ კიგანის „სიტიმ“ დიდი ბრძოლა გაუმართა სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს და ქულა შეიმატა. თამაშს ძიძგილაობისა და გაწევ-გამოწევის გარეშე არ ჩაუვლია, შფოთისთავი ალან სმიტი კი მსაჯმა არ დაინდო და მოედანი ნაადრევად დაატოვებია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 17:3 | 14 | 29 | 6 | 5 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:2 | 6 | 13 |
| 2 არსენალი | 12 | 8 | 3 | 1 | 32:13 | 19 | 27 | 6 | 4 | 2 | 0 | 19:8 | 11 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 13 |
| 3 ევერტონი | 12 | 7 | 2 | 3 | 14:11 | 3 | 23 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 13 |
| 4 ბოლტონი | 12 | 6 | 4 | 2 | 19:14 | 5 | 22 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 6 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 8 |
| 5 მიდლსბრო | 12 | 5 | 4 | 3 | 20:15 | 5 | 19 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 1 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 10 |
| 6 ასტონ ვილა | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | 4 | 18 | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 14 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:10 | -5 | 4 |
| 7 მანჩესტერი | 12 | 4 | 6 | 2 | 11:9 | 2 | 18 | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 4 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 |
| 8 ლივერპული | 11 | 5 | 2 | 4 | 18:11 | 7 | 17 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 8 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | -1 | 5 |
| 9 ნიუკასლი | 12 | 4 | 4 | 4 | 23:23 | 0 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:11 | 2 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 10:12 | -2 | 6 |
| 10 პორტსმუთი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 0 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 13 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 2 |
| 11 ჩარლტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:21 | -8 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:17 | -12 | 4 |
| 12 ფულემი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:20 | -4 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 5 |
| 13 სიტი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:12 | 1 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 5 |
| 14 ტოტენჰემი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:11 | -3 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 8 |
| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 9 | 2 | 0 | 26:8 | 29 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 5 | 0 | 15:6 | 26 |
| სიგმა | 12 | 7 | 1 | 4 | 16:13 | 22 |
| ლიბერეცი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:6 | 21 |
| იაბლონეცი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 |
| სლავია | 12 | 5 | 3 | 4 | 12:10 | 18 |
| ბანიკი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:16 | 17 |
| ბრნო | 12 | 4 | 3 | 5 | 11:15 | 15 |
| ზლინი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:15 | 14 |
| დრნოვიცე | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| პრჟიბრამი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:21 | 11 |
| ოპავა | 11 | 2 | 4 | 5 | 13:17 | 10 |
| ბლშანი | 11 | 2 | 3 | 6 | 6:13 | 9 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 1 | 4 | 7 | 8:15 | 7 |
| ბოლესლავი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:16 | 7 |
| სლოვაცკო | 12 | 4 | 5 | 3 | 9:7 | 5 |

*„სლოვაცკოს“ დაკლებული აქვს 12 ქულა*

## პორტუგალია

### სუპერლიგა. IX ტური

**ნასიონალი 0:0 ჟილ ვისენტე**

**ბრაგა 3:0 რიუ ავე**

1:0 ჟაიმე (2), 2:0 კასტანეირა (9), 3:0 ჟოაო ტომასი (49)

**აკადემიკა 0:1 ლეირია**

0:1 კრპანი (2)

**მორეირენსე 1:2 პრაია**

1:0 მოურა (41), 1:1 დოროვალი 78), 1:2 ფონსეკა (80)

**გიმარაეში 1:1 მარიტიმუ**

0:1 მანდუკა (7), 1:1 დრაგონერი (47)

**ბოავიშტა 2:1 პენაფიელი**

0:1 კლაიტონ კრუზი (33), 1:1, 1:2 ზე მანელი (77პ, 90პ)

**ბეირა მარი 3:3 ბელენენსეში**

0:1 არნაუდი (3), 1:1, 2:1 ტანკე სილვა (43, 55), 2:2 არნაუდი (67), 3:2 ეიტორი (77), 3:3 არნაუდი (79)

**ბენფიკა 4:0 სეტუბალი**

1:0 კარადასი (31), 2:0 შოკოტა (50), 3:0 ჟოვანი (71), 4:0 სიმაო (90)

**პორტუ — სპორტინგი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 9 | 6 | 2 | 1 | 15:6 | 20 |
| სეტუბალი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:12 | 17 |
| ბოავიშტა | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 17 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| პორტუ | 8 | 4 | 4 | 0 | 13:6 | 16 |
| ბრაგა | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:8 | 14 |
| ეშტორილი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:13 | 12 |
| რიუ ავე | 9 | 2 | 6 | 1 | 9:9 | 12 |
| ლეირია | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| ბელენენსეში | 9 | 3 | 2 | 4 | 16:16 | 11 |
| ნასიონალი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ბეირა მარი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:18 | 9 |
| გიმარაეში | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| აკადემიკა | 9 | 2 | 1 | 6 | 8:13 | 7 |
| მორეირენსე | 9 | 1 | 4 | 4 | 7:12 | 7 |
| პენაფიელი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:21 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 1 | 2 | 6 | 8:12 | 5 |

### მეორე ლიგა. IX ტური

ალვერკა — სანტა კლარა 1:0; ესპინიუ — ავეში 1:0; გონდომარი — ოვაირენსე 0:2; ლეიშოეში — ამადორა 2:1; მარკუ — ნავალი 0:0; შავეში — ფეირენსე 0:1; ფელგეირაში — ფერეირა 1:2; ვარზიმი — ოლიალენსე 0:1; მაია — პორტიმონენსე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაია | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 22 |
| ამადორა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:7 | 19 |
| ნავალი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 17 |
| ოვაირენსე | 9 | 5 | 2 | 2 | 15:11 | 17 |
| მარკუ | 9 | 4 | 4 | 1 | 13:10 | 16 |
| ოლიალენსე | 9 | 5 | 1 | 3 | 12:12 | 16 |
| ავეში | 9 | 5 | 0 | 4 | 13:6 | 15 |
| ფერეირა | 9 | 4 | 3 | 2 | 12:8 | 15 |
| ლეიშოეში | 9 | 4 | 2 | 3 | 10:8 | 14 |
| ვარზიმი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| პორტიმონენსე | 9 | 3 | 1 | 5 | 12:12 | 10 |
| ალვერკა | 9 | 3 | 1 | 5 | 4:7 | 10 |
| ფეირენსე | 9 | 3 | 1 | 5 | 7:13 | 10 |
| გონდომარი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:11 | 8 |
| ესპინიუ | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | 7 |
| შავეში | 9 | 2 | 1 | 6 | 3:11 | 7 |
| ფელგეირაში | 9 | 1 | 3 | 5 | 4:9 | 6 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XII ტური

დიარბაქირი — გალათასარაი 2:0; ისთანბული — დენიზლი 1:1; სებათი — მალათია 1:1; ფენერბაჩე — ანკარა 1:0; სამსუნი — გაზიანთეფი 1:3; ანკარაგიუჯიუ — ტრაბზონი 0:2; ქაისერი — გენჩლერი 1:2; რიზე — საქარია 2:0; კონია — ბეშიქთაში 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჩე | 12 | 10 | 1 | 1 | 29:8 | 31 |
| ტრაბზონი | 12 | 9 | 2 | 1 | 26:8 | 29 |
| გალათასარაი | 12 | 9 | 1 | 2 | 24:9 | 28 |
| დენიზლი | 12 | 7 | 1 | 4 | 17:14 | 22 |
| რიზე | 12 | 6 | 3 | 3 | 15:7 | 21 |
| მალათია | 12 | 6 | 2 | 4 | 21:14 | 20 |
| გაზიანთეფი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 18 |
| გენჩლერი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:15 | 18 |
| ბეშიქთაში | 12 | 4 | 4 | 4 | 24:18 | 16 |
| სამსუნი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:19 | 15 |
| ანკარა | 12 | 4 | 3 | 5 | 16:17 | 15 |
| კონია | 12 | 3 | 6 | 3 | 21:24 | 15 |
| დიარბაქირი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:18 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 3 | 3 | 6 | 8:16 | 12 |
| ქაისერი | 12 | 2 | 2 | 8 | 12:25 | 8 |
| ისთანბული | 12 | 1 | 4 | 7 | 9:21 | 7 |
| სებათი | 12 | 0 | 5 | 7 | 12:29 | 5 |
| საქარია | 12 | 1 | 1 | 10 | 7:27 | 4 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XI ტური

**ტილბურგი 1:3 აიაქსი**

1:0 ვრიჯერა (13ს.პ.), 1:1, 1:2 როსალესი (36, 43), 1:3 მაქსველი (62)

**ალკმაარი 4:0 უტრეხტი**

1:0 მეერდინკი (2), 2:0 პერესი (50), 3:0 ნელისე (87), 4:0 ლინდენბერგი (89)

**ფეიენოორდი 4:0 ბრედა**

1:0 კუიტი (15), 2:0 გოორი (47), 3:0 ბუფელი (87), 4:0 გოორი (90)

**დენ ბოსხი 0:3 პსვ**

0:1 ფანფანი (41), 0:2 ალექსი (68), 0:3 კოკუ (74)

**ვიტესი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 ამოა (66)

**ტვენტე 1:2 გრონინგენი**

1:0 კულინა (11), 1:1 ნევლანდი (29), 1:2 კრშტევი (52)

**ვალვაიკი 0:0 ჰერენვენი**

**როზენდალი 3:0 გრააფსხაპი**

1:0 ჰაკანსონი (3), 2:0 მოლე (45), 3:0 იკედია (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 10 | 8 | 2 | 0 | 28:5 | 26 |
| ფეიენოორდი | 11 | 8 | 1 | 2 | 33:12 | 25 |
| ალკმაარი | 11 | 7 | 3 | 1 | 27:11 | 24 |
| აიაქსი | 11 | 6 | 3 | 2 | 24:14 | 21 |
| ჰერენვენი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:17 | 20 |
| ვიტესი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:16 | 17 |
| უტრეხტი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:16 | 17 |
| ტილბურგი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:20 | 17 |
| ბრედა | 11 | 5 | 2 | 4 | 22:29 | 17 |
| როდა | 11 | 4 | 2 | 5 | 19:21 | 14 |
| ვალვაიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | 13 |
| გრონინგენი | 11 | 3 | 4 | 4 | 17:19 | 13 |
| ნაიმეგენი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:14 | 12 |
| ტვენტე | 11 | 3 | 2 | 6 | 13:17 | 11 |
| დენ ბოსხი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:30 | 8 |
| დენ ჰააგი | 10 | 2 | 1 | 7 | 12:20 | 7 |
| როზენდალი | 11 | 2 | 1 | 8 | 13:28 | 7 |
| გრააფსხაპი | 11 | 0 | 4 | 7 | 11:26 | 4 |

### II დივიზიონი. XII ტური

კამბური — აპელდორნი 2:1; ემენი — ჰელმონდი 1:3; ეინდჰოვენი — სპარტა 1:7; ვოლენდამი — ჰერაკლესი 0:0; ზვოლე — ვეენდამი 0:2; ჰაარლემი — იგლსი 0:4; მაასტრიხტი — ტელსტარი 0:0; ოსი — სიტარდი 3:3; ვენლო — დოორდრეხტი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერაკლესი | 11 | 8 | 2 | 1 | 22:8 | 26 |
| ვენლო | 11 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 24 |
| დოორდრეხტი | 11 | 7 | 3 | 1 | 20:13 | 24 |
| სპარტა | 11 | 6 | 3 | 2 | 29:17 | 21 |
| ვოლენდამი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:11 | 20 |
| ზვოლე | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | 19 |
| ჰაარლემი | 11 | 6 | 0 | 5 | 22:16 | 18 |
| ვეენდამი | 11 | 4 | 3 | 4 | 19:16 | 15 |
| აპელდორნი | 11 | 5 | 0 | 6 | 21:19 | 15 |
| ჰელმონდი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:18 | 15 |
| ექსელსიორი | 11 | 4 | 1 | 6 | 19:18 | 13 |
| სიტარდი | 11 | 3 | 4 | 4 | 15:20 | 13 |
| ოსი | 12 | 4 | 1 | 7 | 20:29 | 13 |
| ტელსტარი | 12 | 2 | 6 | 4 | 12:14 | 12 |
| მაასტრიხტი | 12 | 3 | 3 | 6 | 14:18 | 12 |
| კამბური | 12 | 3 | 3 | 6 | 9:19 | 12 |
| იგლსი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:19 | 11 |
| ემენი | 12 | 2 | 3 | 7 | 15:25 | 9 |
| ეინდჰოვენი | 12 | 1 | 4 | 7 | 12:34 | 7 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XVI ტური

ადმირა — ზალცბურგი 0:2; მატერსბურგი — რაპიდი 0:0; შტურმი — ტიროლი 3:1; აუსტრია — ბრეგენცი 2:0; პაშინგი — გრაცერი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 16 | 10 | 5 | 1 | 29:11 | 35 |
| აუსტრია | 16 | 10 | 4 | 2 | 36:9 | 34 |
| პაშინგი | 16 | 10 | 1 | 5 | 32:22 | 31 |
| გრაცერი | 16 | 9 | 2 | 5 | 20:14 | 29 |
| ზალცბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:21 | 19 |
| ტიროლი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:26 | 18 |
| ადმირა | 16 | 5 | 2 | 9 | 20:27 | 17 |
| მატერსბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:26 | 16 |
| შტურმი | 16 | 4 | 3 | 9 | 11:20 | 15 |
| ბრეგენცი | 16 | 2 | 4 | 10 | 15:44 | 10 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIV ტური

თუნი — შაფჰაუზენი 2:1; ბაზელი — იანგ ბოისი 2:1; გრასჰოპერი — სენტ გალენი 0:0; სერვეტი — ქსამაქსი 1:2; აარაუ — ციურიხი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 14 | 8 | 4 | 2 | 29:14 | 28 |
| თუნი | 14 | 7 | 3 | 4 | 20:11 | 24 |
| ქსამაქსი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:17 | 22 |
| იანგ ბოისი | 14 | 5 | 5 | 4 | 25:21 | 20 |
| აარაუ | 14 | 5 | 4 | 5 | 21:20 | 19 |
| ციურიხი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:19 | 18 |
| სერვეტი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:23 | 16 |
| გრასჰოპერი | 14 | 3 | 7 | 4 | 11:20 | 16 |
| შაფჰაუზენი | 14 | 2 | 6 | 6 | 17:25 | 12 |
| სენტ გალენი | 14 | 2 | 6 | 6 | 17:25 | 12 |

*„სერვეტს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

WORLD CUP
GREKO-ROMAN WRESTLING
TBILISI 6-7 NOVEMBER 2004

მსოფლიო თასი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თბილისი. სპორტის სასახლე. 6-7 ნოემბერი

ეროვნული

# მსოფლიო თასი მსოფლიოს ჩემპიონებს

## ირანი და ამერიკა ერთად აღმოვაჩინეთ




**მსოფლიოს ჩემპიონმა** ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებმა გუშინ მსოფლიო თასიც დაისაკუთრა. ბეგი დარჩიას შვიდეულმა თავისი ძალა სპორტის სასახლეში, ქართველი გულშემატკივრის თვალწინ დაამტკიცა. ქართველებმა ორდღიანი ტურნირის პირველივე დღეს ისე იჭიდავეს, ბოლო ტურს ფაქტობრივად აზრი დაუკარგეს. ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს თასის ალების თეორიული შანსიღა შერჩათ და ისიც მინიმალური.

კენჭისყრამ ორ უმთავრეს კონკურენტს, ირანსა და ბელარუსს პირველივე დღეს შეგვყარა. მანამდე კი ტურნირზე რუსეთ-ეგვიპტის ნაცვლად ჩამატებული საფრანგეთი დაგვიპირისპირდა და ჩვენც თანმიმდევრულად მივყვეთ.

თავიდანვე აუტსაიდერად მიჩნეულ ფრანგებს დარჩიას სამწყსომ სულ ბდღვირი ადინა, თუმც ერთი მოულოდნელი შედეგი მაინც დაფიქსირდა. ევროპის ჩემპიონმა ბადრი ხასაიამ (74კგ) კრისტოფ მენოტისთან ვერაფერი გააწყო, რითაც პირად ჩათვლაში თასის მოგების შანსი დაკარგა. ჯამში ქართველებმა მეტოქეს 23:5 სძლიეს. აქვე ქულათა დარიცხვის თავისებურებასაც გაგაცნობთ. თუკი დამარცხებული ერთი ქულის ალებას მაინც მოახერხებდა, ამით თავის ნაკრებს ერთ ჩასათვლელ ქულას აძლევდა, გამარჯვებული კი — სამს. წმინდად გამარჯვების შემხთვევაში კი გუნდის აქტივში 4 ქულა ირიცხებოდა.

ხასაიას ქულებით წაგებამ საფრანგეთს 3:1 მისცა, მაგრამ მანამდე სტუმრები იმხელა სხვაობით ჩამოგვრჩებოდნენ, საერთო გამარჯვებაზე ხელი უკვე ჩაქნეულიც ჰქონდათ. ირაკლი ჭოჭუამ (55კგ) და ომარ ბაკურიძემ (66კგ) ვადაზე ადრე დაამწუხრეს მეტოქეები, ხოლო ლაშა ლომაძემ (60კგ) ქულებით ნულზე მოიგო. 4:0-ები ჩაიწერეს რამაზ ნოზაძემ (96კგ) და მირიან გიორგაძემაც (+120კგ). მუხრან ვახტანგაძემ (84კგ) კი 3:1 იკმარა.

მოლოდინისამებრ, უფრო დაძაბული ირანელებთან შეხვედრა გამოდგა. ოცდაათამდე ქომაგის ხმაშეწყობილი შეძახილებითა და სიმღერებით გამხნევებული აზიელები სამი შეხვედრის შემდეგ წინაც კი იყვნენ. ირაკლი ჭოჭუას ნაკრების ახალბედებმა ლომაძემ და ბაკურიძემ მხარი ვერ აუბეს. სამაგიეროდ, გაილაღა ხასაიამ, ძლიერ მეტოქეს სამ წუთში მოუმთავრა საქმე. კვლავ ქულებით იმარჯვა ვახტანგაძემ, მაგრამ მისმა და ყასებ რეზაის ბრძოლამ სპორტის ამ სახეობის მთავარი მინუსი — მსაჯების პრობლემა ერთხელაც დაგვანახა. ხალიჩის გამგებლებმა ჯერ ირანელს აჩუქეს ორი ქულა, მერე კი ვითომ შეცდომა გამოასწორეს, რამდენჯერმე ზედიზედ გააფრთხილეს. ასე იყო თუ ისე, საბოლოო ჯამში სამართლიანობა არ დარღვეულა. ქართველმა დამსახურებულად იმარჯვა, თუმც მსაჯების საქციელით უკმაყოფილო ირანელთა მთავარმა მწვრთნელმა ბანა მუჰამედმა ყვირილითა და ტაშით გამოხატა პროტესტი. ცნობისთვის, ამ დროს მუჰამედი უკვე გაძევებული იყო ხალიჩისპირა სკამიდან. „წითელი" მას პირველსავე ბრძოლაში აუფრიალეს.

შეხვედრის ბედი ოლიმპიურმა პრიზიორმა ნოზაძემ გადაწყვიტა, თუმც



ირაკლი ჭოჭუამ ყველა შეხვედრა მოიგო



რამაზ ნოზაძემ ამერიკელი ადამ ველერი ჰაერში აიტაცა და ბავშვივით აბურთავა

## მსოფლიო თასი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ისე დაშავდა, ძლივს ჩაამთავრა ბრძოლა. ირანის არაერთგზის ჩემპიონმა და გუნდის ლიდერმა რეზა ზეიდვანდმა ჩვენებურს რომ ვერაფერი დააკლო, ფეხში ეშმაკურად ჩაარტყა. ექიმების დახმარების შემდეგ რამაზი ხალიჩას კი დაუბრუნდა, მაგრამ ცალ ფეხზე მდგომმაც შეინარჩუნა უპირატესობა, აზიელთა ძლევას კი წერტილი გიორგაძემ დაუსვა.

ორი წრის ჩამთავრების შემდეგ მსოფლიო თასი ოფიციალურად გაიხსნა. 40-წუთიანი საზეიმო ცერემონიალი გემრიელად იყო ორგანიზებული. საუკეთესო ქართველ მომღერალ-მოცეკვავეთა გამოსვლების შემდეგ დარბაზში ფაიტონებით შემოიყვანეს გამორჩენილი მოჭიდავეები და საპატიო წრე დაარტყმევინეს, ბოლოს კი მინი-ფოიერვერკიც ვიხილეთ.

საღამოს შეხვედრებზე ტრიბუნები ცოტა შეთხელდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ჩვენმა ნაკრებმა მესამე წრე გამოტოვა. მაყურებლის ერთმა ნაწილმა იფიქრა, მეოთხე წრის დაწყებამდე სახლში მივასწრებ და ბელარუსთან რკენას ტელევიზორში ვნახავო, თუმცა ამ დროს რეპორტაჟი უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო.

ევროპის ჩემპიონ ბელარუსთა ნაკრებს პირველივე წრიდან შეეტყო, რომ ფავორიტის სახელის გამართლება გაუჭირდებოდა. ჰოდა, საქართველოსთანაც ისე წააგო, აქტივში მხოლოდ ოთხი ქულა ჩაიწერა. ერთადერთი გამარჯვება იური კოლესნიკოვმა იზეიმა ომარ ბაკურიძესთან, ხოლო დიმიტრი კრუგლიკი ვახტანგაძეს პრესტიჟის ქულას გამორჩა. სხვებმა კი ესეც ვერ მოახერხეს.

შაბათის დანარჩენი ბრძოლები ისე დასრულდა, დღის ბოლოს ბეგი დარჩიას უკვე მილოცვების მიღებაც უწევდა. მსოფლიოს თასის საქართველოში დარჩენა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო მეორე დღეს ამერიკელებთან წააგებდა, ოღონდ არა კატასტროფული ანგარიშით.

კვირას დარბაზის გადაჭედვას ცოტაღა აკლდა. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ერთლარიანი ბილეთებიც აღარ გაყიდეს და დასწრება უფასო გახდა. განწყობა ქართულმა ჭიდაობამაც აამაღლა და ოკეანგაღმელებთან ქართველებს ისეთი ქომაგობა ჰქონდათ, წინ ამერიკა კი არა, მსოფლიოს ნაკრები ვეღარ დაგვიდგებოდა. დარჩიამ შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა. ბაკურიძე გამოცდილი აკაკი ჩაჩუათი შეცვალა, მაგრამ წონამომატებული სიდნეის ბრინჯაოსანი ჩვეული ფორმისგან ჯერ საკმაოდ შორსაა, რაც შედეგზეც აისახა. ჩაჩუამ ქულებით წააგო. ასევე ქულებით დათმო ვახტანგაძემაც, თუმც მსაჯების შეცდომების ხსენება ერთხელაც გვიწევს. ბოლო წამებზე გაკეთებული ფანდებით იმარჯვეს ჭოჭუამ და ლომაძემ. განსაკუთრებული მაინც ლაშას გამარჯვება იყო. ოთხი წუთის შემდეგ იგი 0:8-ს აგებდა და მეტოქე საფინალო სასტვენამდე ოციოდ წამით ადრე წმინდად დაამარცხა. წმინდადვე მოიგო ნოზაძემაც. თავისზე მაღალი ადამ ველერი ჰაერში აიტაცა და ბავშვივით ათამაშა.

დაჯილდოების ცერემონიალისას მაყურებლის დიდმა ნაწილმა სასახლის არენაზე გადაინაცვლა და ჩემპიონ-პრიზიორები: საქართველო, ირანი და აშშ დიდ ალყაში მოაქცია. სამახსოვრო ფოტოებისა და ავტოგრაფების მსურველებს დაახლოებით ერთი საათი დასჭირდათ სურვილის დასაკმაყოფილებლად. ყველაზე მეტი მთხოვნელი, რალა თქმა უნდა, რამაზ ნოზაძეს ჰყავდა. ათენის პრიზიორმა გუნდურ მსოფლიოს თასთან ერთად პირადი პირველობაც მოიგო. ოთხივე შეხვედრაში იმარჯვეს ჭოჭუამ და გიორგაძემ და ხასაიასთან ერთად თავიანთ წონებში გახდნენ საუკეთესოები.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

### ქართველები მსოფლიო თასზე

**საქართველო 23:5 საფრანგეთი**

ირაკლი ჭოჭუა — ელ ბაკად მურადი 4:1
ლაშა ლომაძე — საბესტიან იდალგო 3:0
ომარ ბაკურიძე — ფილიპ ბენჯუდი 4:0
ბადრი ხასაია — კრისტოფ მენოტი 1:3
მუხრან ვხტანგაძე — მელონენ ნუმინოვი 3:1
რამაზ ნოზაძე — ვენსან ვიდალი 4:0
მირიან გიორგაძე — დავიდ მილიენი 4:0

**საქართველო 18:8 ირანი**

ირაკლი ჭოჭუა — ჰამიდ რეზა სურიანი 3:1
ლაშა ლომაძე — ჰამად ბაბაფა 1:3
ომარ ბაკურიძე — ალ მუჰამედი 1:3
ბადრი ხასაია — ფარშად ალიზადე 4:0
მუხრან ვახტანგაძე — ყასებ რეზაი 3:1
რამაზ ნოზაძე — რეზა ზეიდვანდი 3:0
მირიან გიორგაძე — სიავაშ ყალავანდი 3:0

**საქართველო 19:4 ბელარუსი**

ირაკლი ჭოჭუა — ალექსანდრე რუჩკო 3:0
ლაშა ლომაძე — მიხაილ სემიონოვი 3:0
ომარ ბაკურიძე — იური კოლესნიკოვი 0:3
ბადრი ხასაია — ვიქტორ ანისკოვეცი 3:0
მუხრან ვახტანგაძე — დიმიტრი კრუგლიკი 3:1
რამაზ ნოზაძე — ანდრეი ბატურა 3:0
მირიან გიორგაძე — ვლადიმერ მარუსოვი 4:0

**საქართველო 18:7 აშშ**

ირაკლი ჭოჭუა — ლინდსი დურლაჩერი 3:1
ლაშა ლომაძე — ჯო ვარეი 4:0
აკაკი ჩაჩუა — გლენ გარისონი 1:3
ბადრი ხასაია — დარი ხრისტიანი 3:0
მუხრან ვახტანგაძე — ბრედ ვერინგი 0:3
რამაზ ნოზაძე — ადამ ველერი 4:0
მირიან გიორგაძე — რუს დევი 3:0



მირიან გიორგაძემ ქულა არავის დაუთმო

## ფალავნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# გოლიათი დავითი

## ალექსი დავითაშვილი შვიდგზის ფალავანია

**საქართველოს** აბსოლუტური ფალავნობისთვის 21 უძლიერესი ფალავანი ჩაერთო და ისეთი ლამაზი ჭიდაობა გაჩაღდა, ოთხ საათში ჩასატევ ტურნირს სამიც თავისუფლად ეყო. ორგანიზატორებმა მონაწილეები ორ ქვეჯგუფში გადაანაწილეს და შარშანდელი ფალავანი ალექსი დავითაშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური ცალ-ცალკე განთესეს. დავითაშვილს ჯგუფში სხვა გამოცდილ მოჭიდავეებთან ერთად საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი და შარშანდელი ფალავნობის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ფიგურა გიორგი ყიზილაშვილი მოხვდნენ. ზვიადაურისკენ კი ვიცეფალავანი, 130 კილოგრამიანი სამბისტი ზვიად ჩინჩალაძე და ტურნირის ყველაზე მძიმე მონაწილე რატი ფერაძე იყვნენ გამოსარჩევნი.

სპეციალისტთა ვარაუდი, წლევანდელი ფალავნობა წინათაგან გამორჩეული იქნებაო, პირველი შეხვედრიდანვე გამართლდა.

ტრიბუნებს პირველი ოვაცია ზვიადაურმა მოსწყვიტა, რომელმაც წმინდად დაამარცხა ფერაძე. ოლიმპიურ ჩემპიონს მხარდაჭერა, ცხადია, არც ჭიდაობის დაწყებამდე აკლდა, ამ ბრძოლის შემდეგ კი ერთიორად გაიზარდა. ადვილად იმარჯვეს სხვა ფავორიტებმაც. მოულოდნელი შედეგი არც მეორე წრეში ყოფილა, მერე კი უკვე საუკეთესოებიც დაეჭიდნენ ერთმანეთს.

ნახევარფინალს სამმა აზმეტელმა უწია. დავითაშვილს, ყიზილაშვილსა და ზვიადაურს მხარი რუსთაველმა ზვიად ჩინჩალაძემ დაუმშვენა. ეს ოთხეული აშკარად გამორჩეული იყო და ოთხივენი თითქმის ყველა ბრძოლას სუფთად იგებდნენ. ყველაზე სახელიანი მოწინაამდეგე კი მეოთხედფინალში ყიზილაშვილმა ჩამოიცილა — მან ოთხეულს მიღმა ლაშა გუჯეჯიანი დატოვა.

პირველი ნახევარფინალური წყვილი ზვიადაურმა და ჩინჩალაძემ შეადგინეს. ხუთწუთიანი ბრძოლა ჩინჩალაძემ 4:3 მოიგო.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარგად კი დაიწყო და ორ ქულასთან ერთად აქტიურობაც მიიღო, მაგრამ მერე ნელა-ნელა ინიციატივა დათმო და ეს ანგარიშზეც აისახა — 2:4. ზვიადაური ბოლო წუთზე ბევრს კი ეცადა, მაგრამ ქულის მეტი ვერ გააკეთა. ამ შეხვედრაში ზურაბ ხელის ტრავმა მიიღო და მესამე ადგილისთვისაც ვეღარ იჭიდავა.

მესამე საპრიზო და ამისთვის დაწესებული ათასი დოლარი ყიზილაშვილმა ირგუნა. შარშანდელის მსგავსად, ფალავნობისკენ მიმავალ გზაზე ამჯერადაც თანაქალაქელი დავითაშვილი გადაეღობა, თუმც ალექსიმ ამჯერად უფრო ადვილად იმარჯვა.

შარშანდელის ალი-კვალი ფინალიც კვლავ ალექსი დავითაშვილის ფალავნობით დასრულდა. საქართველოს ექვსგზის ფალავანმა და ამ საქმით სამი ავტომანქანის მომგებმა აქტივს კიდევ ერთი სახელიანი გამარჯვება და 3 ათასი დოლარი შემატა. ჩინჩალაძეს კი 2 ათასი ერგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# არ გინდოდა შაკი და გერი...

## კობი ბრაიანტმა გაჭირვება ნახა და გაქცევა მოუწევს

— 5 ნოემბერი —

**პორტლენდი 94:81 კლიპერსი**
პორტლენდი: აბდურ-რაჰიმი (22), ანდერსონი (16), რეთლიფი (6 ქულა, 9 დაფარება)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*
კლიპერსი: ვილკოქსი (27 ქულა, 10 მოხსნა), ბრენდი (17)

**ლეიკერსი 96:105 სან ანტონიო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ოდომი (24 ქულა, 11 მოხსნა)
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 16 მოხსნა), ჯინობილი (18 ქულა, 5 ჩაჭრა), პარკერი (16)

**სიეტლი 106:85 ატლანტა**
სიეტლი: ალენი (25)
ატლანტა: უოლკერი (24), ჰარინგტონი (14)

**გოლდენ სტეიტი 80:102 იუტა**
გოლდენ სტეიტი: ფიშერი (17), დანლივი (16)
იუტა: ბუზერი (16), მაკლეოდი (15 ქულა, 10 პასი)

**ჩიკაგო 106:111 ნიუ ჯერსი**
ძირითადი დრო 94:94
ჩიკაგო: ჰაინრიხი (34), ჰარინგტონი (19), დენგი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (26 ქულა, 21 მოხსნა, 9 პასი), მურნინგი (17)

**მემფისი 81:89 ჰიუსტონი**
მემფისი: გასოლი (21), ველსი (15)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (30)

**ტორონტო 101:89 დეტროიტი**
ტორონტო: ბოში (18), ვუდსი (17)
დეტროიტი: ჰამილტონი (24), ბილაფსი (24), ბ. ვოლესი (10 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

**ფილადელფია 98:108 ფინიქსი**
ფილადელფია: აივერსონი (25), გრინი (16)
ფინიქსი: სტუდემაიერი (29 ქულა, 10 მოხსნა), მარიონი (24 ქულა, 11 მოხსნა)

**ბოსტონი 94:100 ინდიანა**
ბოსტონი: დევისი (22), ბლუნტი (18)
ინდიანა: არტესტი (28), ონილი (19)

**ნიუ ორლეანი 89:90 ორლანდო**
ნიუ ორლეანი: დევისი (36)
ორლანდო: თურქოღლუ (21), ფრენსისი (19)

კობი ბრაინტმა მიიღო, რაც სურდა — ახლა ის „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ერთპიროვნული და გაუსაჩივრებელი ლიდერია. ჰოდა, ნუ გაუკვირდება, თუ ტვირთი, რომელსაც ის ეწეოდა, კიდევ უფრო დაუმძიმდება, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც „დიდების დარბაზის" მომავალი წევრების — შაკილ ონილის, კარლ მელოუნისა და გერი პეიტონის ნაცვლად დამხმარეებად ლამარ ოდომები, კერონ ბატლერები და კრის მიმები ჰყავს. თანაც „ლეიკერსს" სხვებზე მეტს სთხოვენ, ხოლო ამიერიდან ყველაფერს ბრაიანტს მოსთხოვენ.

თავად კობი, რაც სეზონი დაიწყო, ურიგოდ არ ბურთაობს, მაგრამ „ლეიკერსმა" სადებიუტო გამარჯვებას ორი მარცხი მოაყოლა, რაც გაფრთხილებასავითა — ჭირვეული ვარსკვლავისთვის მთელი სეზონი წინაა ამ სიტყვების ნაცრისფერი მნიშვნელობით.

პარასკევს ღამით „ლეიკერსმა" შინ წააგო ბოლო დროს ლამის მტრად გადაკიდებულ „სან ანტონიოსთან". ბრაიანტი ცდილობდა, იხტიბარი არ გაეტეხა — „სან ანტონიო" ძალიან ძლიერი გუნდია და ოდნავ მოდუნებას არ გაპატიებსო. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მას ამ სეზონში კიდევ სამჯერ მოუწევს ამ გუნდთან ბოლო დროს გვარიანად აშლილი ნერვების მდგრადობის გამოცდა, თანაც „სფურზის" გარდა ყოჩაღი გუნდები ამ ლიგაში კიდევ ბლომად მოიძევებიან. ასე რომ...


REUTERS

„იუტა ჯაზს" სერთოდ არ ჰყავს სუპერვარსკვლავი და, როგორც ჩანს, არც სჭირდება. ჯერი სლოუნის შეგირდებმა სეზონი სამი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყეს და თავს არავინ იტყუებს, რომ ეს „შემთხვევით მოუვიდათ". იმ საღამოს, როცა კობი ბრაიანტი „სან ანტონიოს" კალათისკენ მიმავალ გზებს ეძებდა, „ჯაზი" მისსავე დარბაზში თავის დაკრულზე აცეკვებდა მოღონიერებულ „გოლდენ სტეიტს". 22 ქულითაც მოიგო. არადა, თითქოს თავი არავის გამოუდვია. კარლოს ბუზერმა 16 ქულა ჩააგდო, კიტ მაკლეოდმა კი 15 ქულა და 10 პასი გააზერხა...

ეს მაკლეოდი ამ ზაფხულს „მინესოტამ" დაიწუნა და ამანაც მორმონთა შტატში გასწია, იქნებ იქ ვეწიო ბედს და „იუტაში" მესამე გამთამაშებლად ამიყვანონო. აიყვანეს. მერე კარლოს აროიო და რაულ ლოპესი დაიმტვრნენ და ჰა, შანსი...

მკაცრმა და სიტყვაძვირმა ჯერი სლოუნმა ნამატჩევს ალალად შეაქო მონდომებული შეგირდი — „კიტმა სეზონის დაწყებამდე ბევრი იმუშავა და დაიმსახურა შანსი. თქვენ ხედავთ, როგორც გამოიყენა. ამიტომ მიყვარს მე ეს ლიგა. შეხედეთ ზოგიერთებს — ისინი 40-50 მილიონს იღებენ, თამაში კი არ სურთ."

ზაზა ფაჩულიას ყოფილ გუნდ „ორლანდო მეჯიქს" ორი თვე აღარ დასჭირვებია ორი თამაშის მოსაგებად. „ჰიუსტონთან" ვაჭრობა და ტრეისი მაკგრედის ნაცვლად იქიდან სტივ ფრენსისის გადაყვანა აშკარად მოუხდა ამ გუნდს. „ჯადოების" ახალმა ლიდერმა ბოლო წამებზე უკვე მეორედ მოაგებინა თავისიანებს და ნამატჩევს ჩვეულ ტრაბახსაც მოჰყვა — ჩვენ შეგვიძლია, ყველა ასეთი დაძაბული თამაში მოვიგოთო.

ძლივს მოიგო ამ წლებში აქუხებულმა წლეულს კი დაჩიავებულმა „ნიუ ჯერსიმ". „ბადეებს" ამისთვის „ჩიკაგოსთან" ორმაგი ოვერტაიმი დასჭირდათ. აშკარად ფერზე მოსულა ნაავადმყოფარი ალონზო მურნინგი, რომელიც ახლა სწავლობს სხვისი თირკმელით თამაშს. „ზომ" 27 წუთში 17 ქულა გააზერხა. კიდევ მეტად იყოჩაღა ათენში ნათამაშებმა რიჩარდ ჯეფერსონმა, ვინაც 26 ქულასთან ერთად კარიერაში უმეტესი, 21 მოხსნა გაჩარხა და ერთი პასით მეტი რომ გაეკეთებინა, სამმაგ დუბლს მიითვლიდა.

„ჩიკაგოში" საუკეთესო გახლდათ შარშანდელი ახალბედა, თეთრი გამთამაშებელი კირკ ჰაინრიხი, ვინც პირადსაკორდოდ ბევრი 34 ქულა უძღვნა თავს. მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს სუდანაში დაბადებული, ინგლისში წამოჩიტული და დიუკის უნივერსიტეტში დავაჟკაცებული ლუოლ დენგი, რომელმაც — ასე თუ გააგრძელა — ვინძლო, სეზონის საუკეთესო ახალბედის პრიზიც დაიმსახუროს.

**კოტე ყორშია**

# ბოლოს ზაზამ გაიცინა

— 6 ნოემბერი —

**მილუოკი 102:88 კლივლენდი**
მილუოკი: მ. უილიამსი (10 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), რედი (28), ვან ჰორნი (22 ქულა, 14 მოხსნა), სმიტი (10), გაძურიჩი (7); მეისონი (11), ფაჩულია (6), სტრიკლენდი (6), კუკოჩი (2), გოლდვაირი
კლივლენდი: მაკინისი (16), ჰარისი (5), ჯეიმსი (31), გუდენი (12), ილგაუსკასი (9); სნოუ (7), პავლოვიჩი (3), ს. უილიამსი (3), ნიუბლი (2), ტრეილორი, ვარეჟაო, ჯეკსონი

გუშინწინ „მილუოკი ბაქსმა" დამაჯერებლად მოუგო უკვე აკაშკაშებული პატარა გენიოსის ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდ კავალიერზს". 21 წუთში 6 ქულა და ამდენივე მოხსნა გააზერხა ზაზა ფაჩულიამ, რაც თუ „კლივლენდის" ლიტველი გიგანტის ჟიდრუნას ილგაუსკასის არცთუ შთამბეჭდავ მონაგარს გავითვალისწინებთ, ურიგო შედეგი არაა. მაგრამ თუ შედარებაა, ფაჩულია უპირველესად თანაგუნდელ დან გაძურიჩს უნდა დავაზომოთ, რაკი სწორედ მასთან უწევს „მილუოკის" ხუთეულისთვის ბრძოლა.

„მილუოკის" მწვრთნელმა ტერი პორტერმა ამ შეხვედრაში ისევ დან გაძურიჩს ანდო დამწყებ ხუთეულში ადგილი, თუმც [illegible] მეტი ხნით [illegible]. ზაზას [illegible]. მან გაძურიჩი [illegible]ში, თუმცა თავისი საქმე გააკეთა და „კლივლენდმა" რომ ბოლო მეოთხედში თეთრი დროშა გამოფინა, ქართველის დამსახურებაცაა.

პირველ ტაიმში ურჩი კლივლენდელები „მილუოკიმ" მესამე მეოთხედში „მოარჯულა", ხოლო უკანასკნელ თორმეტწუთეულში თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ზაზა ფაჩულიამ ორი საჯარიმო ქულა მიითვალა და „მილუოკი" 96:78 დააწინაურა.

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 2 | 0 | 100 |
| ბოსტონი | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 2 | 33,3 |
| ფილადელფია | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 0 | 2 | 0 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 3 | 0 | 100 |
| დეტროიტი | 2 | 1 | 66,7 |
| მილუოკი | 1 | 1 | 50,0 |
| ჩიკაგო | 0 | 2 | 0 |
| კლივლენდი | 0 | 3 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 3 | 0 | 100 |
| ორლანდო | 2 | 1 | 66,7 |
| ვაშინგტონი | 2 | 1 | 66,7 |
| შარლოტი | 1 | 1 | 50,0 |
| ატლანტა | 0 | 2 | 0 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 3 | 0 | 100 |
| სან ანტონიო | 2 | 0 | 100 |
| ჰიუსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ნიუ ორლეანი | 0 | 3 | 0 |
| მემფისი | 0 | 3 | 0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 3 | 0 | 100 |
| პორტლენდი | 2 | 0 | 100 |
| მინესოტა | 2 | 1 | 66,7 |
| სიეტლი | 1 | 1 | 50,0 |
| დენვერი | 1 | 2 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 3 | 0 | 100 |
| კლიპერსი | 2 | 1 | 66,7 |
| ლეიკერსი | 1 | 2 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 3 | 0 |
| საკრამენტო | 0 | 3 | 0 |

# ფოცხვერმა კნუტი შობა

— 6 ნოემბერი —

**დენვერი 82:106 იუტა**
დენვერი: ბოიკინსი (17), მარტინი (14)
*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*
იუტა: ბუზერი (30 ქულა, 17 მოხსნა)

**ჰიუსტონი 104:101 საკრამენტო**
ძირითადი დრო 93:93
ჰიუსტონი: მინგი (33 ქულა, 12 მოხსნა), მაკგრეიდი (23 ქულა, 13 მოხსნა)
საკრამენტო: ბიბი (31), სტოიაკოვიჩი (23), ვებერი (20 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

**მინესოტა 99:92 ნიუ ორლეანი**
მინესოტა: გარნეტი (29)
ნიუ ორლეანი: დევისი (21), ვესლი (21)

**ნიუ ჯერსი 80:112 ფინიქსი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24)
ფინიქსი: სტუდემაიერი (22)

**ვაშინგტონი 106:118 მაიამი**
ვაშინგტონი: არენასი (27), ჰიუზი (26)
მაიამი: ვეიდი (37 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), ჯონსი (24), ონილი (13)

**გოლდენ სტეიტი 86:94 კლიპერსი**
გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (18)
კლიპერსი: მეჯიტი (26), საიმონსი (22)

**დალასი 112:88 მემფისი**
დალასი: ფინლი (23), ნოვიცკი (22)
მემფისი: გასოლი (18)

**ინდიანა 100:90 ჩიკაგო**
ინდიანა: ჯექსონი (24)
ჩიკაგო: დენგი (25), გორდონი (17)

**დეტროიტი 99:91 ფილადელფია**
დეტროიტი: ბილაფსი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ჰამილტონი (17), ბ. ვოლესი (11 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება)
ფილადელფია: აივერსონი (31)

**შარლოტი 111:100 ორლანდო**
შარლოტი: ბრევეცი (20), ვოლესი (18)
ორლანდო: მობლი (23), ჰილი (16), თურქოღლუ (16)

**ნიუ იორკი 73:107 ბოსტონი**
ნიუ იორკი: სვიტნი (18)
ბოსტონი: პირსი (28), დევისი (20)

ესეც პირველი გამარჯვება! „ბობქეთსმა" დიდხანს არ ალოდინა დიდ კალათბურთს ორ წელიწადს მოწყურებული შარლოტელები. „ფოცხვერებმა" ნბა-ს ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე სუსტი შემადგენლობით პირველივე წუთებიდან კბილებით და ბრჭყალებით შეუტიეს „ორლანდოს" და სადებიუტო შეხვედრის ბრძოლაში წაგების შემდეგ დამაჯერებლად იძალეს.

თანდათან აჭაშნიკებენ გამარჯვებებს ახალძრავჩადგმული ჰიუსტონელი „რაკეტები". ორი საწყისი მარცხის წილ მათ პარასკევშაბათს წყვილად იმარჯვეს. მეორე შეხვედრაში „საკრამენტოსთან" თავის ისახელა იაო მინგმაც, ვისაც ტრავმის გამო ყველაფერი სასურველად ვერ მისდიოდა. ახლა კი, ამ ოვერტაიმიან ჯახში 33 ქულას მოუყარა თავი.

უფრო მეტად იყოჩაღა კიდევ ერთმა მომავლის ვარსკვლავმა დუეინ ვეიდმა. „მაიამის" შაკილ ონილი, მგონი, არც სჭირდება, როცა ეს ბიჭი საქმეს მონდომებით ჰკიდებს ხელს. ვეიდმა კარიერაში სარეკორდოდ ბევრ, 37 ქულას ბლომად პასებიც და მოხსნებიც წაამატა და დევშაკსაც საშუალება მისცა, მთელი ტაიმი დაესვენა და 13 ქულის გაკეთების შემდეგ სუფთა სინდისით დამჯდარიყო სკამზე.

**კოტე ყორშია**

# გამყრელიძე დიდია

## დინამომ ავიამშენი მიწაზე დასვა



18 წლის ლაშა გამყრელიძემ „თბილავიამშენს“ 34 ქულა ჩაუგდო




ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა ეროვნული ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი დასცეს

7 ნოემბერი. ვერი ბალი

**თსუ 128:70 სსუ**

21:15 27:24 39:14 41:17

**თსუ:** ვეფხვაძე (7), ლეჟავა (11), ი. მაისურაძე (14), ფანჩულიძე (14), კოკოლიშვილი (5); გაფრინდაშვილი (19), მარხვაშვილი (13), ბაქრაძე (5), ლომიძე (11), ბერაია (20), ხიზანიშვილი (9)
**სსუ:** პატარაია (9), ნინუა (4), ლ. ნოზაძე (4), მ. ბერიშვილი (7), ურიდია (2); იმედაშვილი (6), გასიტაშვილი (4), მ. ხოშტარია, ქვილითაია (10), ონიკაშვილი (14), გოლეთიანი (2), ჭოველიძე (8)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**დინამო 92:82 ავიამშენი**

23:26 23:24 22:14 24:18

**დინამო:** გამყრელიძე (34), ლაფანაშვილი (16), კვიმსაძე (7), დიდია (21), სუხიშვილი (3); ბექაური (9), ჯანეზაშვილი (2)
**ავიამშენი:** თორთლაძე (11), ნიკოლაძე (8), ი. ხოშტარია (15), წოწელია (22), ბერძენიშვილი (4); ნინიაშვილი (8), შენგელია (11) ბოლქვაძე (1), ბ. ნოზაძე (2)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

რუსთავი

**თუჯი 93:55 მაკაბი**

ირაკლი პერტაია

ჩემპიონატი ხეირიანად ჯერ არ გახურებულა და აგერ, პირველი სენსაციაც გამოცხვა. თითქმის ყველასგან მიტოვებულმა და მთლიანად ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა „დინამომ“ ერთი შეხედვით ყველაზე მძლავრი „თბილავიამშენი“ დაამარცხა და ეს ისე, შემთხვევით კი არ გამოუვიდა, არამედ ყველაფერში დაჯაბნა ერთი თავით მაღლა მდგომი მეტოქე.

მიუხედავად ძალთა აშკარა უთანაბრობისა, „დინამო“ — „ავიამშენს“ საკმარისი ინტრიგა ახლდა. სხვა თუ არაფერი, სეზონთაშორის პერიოდში ეს ორი გუნდი გახლდათ მთავარი სალაპარაკო თემა. ჩემპიონობის ხელიდან გაშვების შემდეგ დინამოელებს ხომ დაფინანსება შეუმცირეს და მათ ჯერ გუნდის მთელი ბირთვი, ახლახან კი ხორვატი მწვრთნელი, პარალელურად ნაკრებში მომუშავე დრაჟენ ბრაიკოვიჩიც დაკარგეს.

დინამოელთა გუშინდელ მეტოქესაც არ დაჰკლებია ინტერესი — „ავიამშენის“ შექმნა იყო და უგუნდოდ მყოფი წამყვანი კალათბურთელები უმალ ლევან მოსეშვილის გუნდში გაჩნდნენ.

და აი, მთავარ დამაინტრიგებელ თემასაც მივადექით — ლევან მოსეშვილი „დინამოს“ წინააღმდეგ! ვფიქრობთ, ამ ფრაზით ყველაფერია ნათქვამი და არ გვჭირდება იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს ლევან მოსეშვილისთვის „დინამო“ და პირიქით. ვის გამოც ეს მწვრთნელი ამ გუნდიდან გაუშვეს, იგი დღეს აღარ წვრთნის „დინამოს“, თორემ გუშინდელ მარცხს ბატონი ლევანი ალბათ უფრო მტკივნეულად განიცდიდა. რა დასამალია — მოსეშვილს ბრაიკოვიჩის ჟინი ჰქონდა და როცა ამას წინათ „ავიამშენი“ ჩამოაყალიბა, ხორვატთან შეხვედრის შანსიც გაუჩნდა, მაგრამ „დინამოში“ ბრაიკოვიჩს ისევე მოექცნენ, როგორც წელიწადნახევრის წინ თავად მოსეშვილს და ამ მწვრთნელთა დუელიც არ შედგა.

მიუხედავად ბრაიკოვიჩის არყოფნისა, ეჭვი არაა, მოსეშვილს განსაკუთრებულად ეწადა გამარჯვება, მაგრამ მიზეზთა გამო — რაშიც ავიატორთა გუნდის ყველა წევრია დამნაშავე — ეს ვერ მოახერხა. „ავიამშენები“ იმ განწყობით გავიდნენ მოედანზე, რომ „დინამოს“ ერთი ამოსუნთქვით მოუგებდნენ, მაგრამ როცა მეტოქის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, მერე ძნელი აღმოჩნდა თამაშის სასურველ კალაპოტში მიმართვა. დინამოელებმა საკუთარ თავს აჯობეს. მათ მთელი ჯიგარი და ბავშვური სილაღე ჩადეს თამაშში — იბრძოლეს, იომეს, იყვირეს კიდეც და ვერის ბაღში ვერავინ რომ ვერ წარმოიდგენდა, ისეთ შედეგს მიაღწიეს.

ზურაბ ტომარაძის გუნდს ტრავმის გამო ორი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე აკლდა — ხელჩუბინი ლაშა ლოსაბერიძე და მრავალ ბრძოლაგამოვლილი ვალერი კილაძე. თუმც ახალგაზრდა დინამოელთა თავგანწირვამ გამოაჩინა, რომ გამოცდილება და სახელი არაფერია, თუ გამარჯვებისთვის თავს დადებ, მწვრთნელის დავალებას ზუსტად შეასრულებ და, რა თქმა უნდა, იღბალიც შეგეშველება.

ავიატორები რომ დარწმუნებულნი იყვნენ გამარჯვებაში, მათი არჩეული ტაქტიკიდანაც გამოჩნდა. მათ ყველაზე მძლავრი მეფარეები ჰყავთ საქართველოში, მაგრამ მოსეშვილმა ამ უპირატესობით სარგებლობაზე ფაქტობრივად უარი თქვა, როცა თამაში ცენტრზე არ ააგო. ამაში „ავიამშენის“ მწვრთნელს ვერავინ დაადანაშაულებს, რაკი მის განკარგულებაში არიან ასევე ერთობ გამოცდილი უკანახაზელები და თუ თორთლაძე, ხოშტარია, და ნიკოლაძე „დინამოს“ თინეიჯერ მეტოქეებს დაეჩაგვრინებოდნენ, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

არადა, თამაშის დასაწყისი „ავიამშენს“ მარცხს ნამდვილად არ უქადდა. ხოშტარიასა და ბერძენიშვილ-ნინიაშვილის ტანდემის ქულებით მოსეშვილის გუნდი 8:2 გალიდერდა. დინამოელები სწრაფ შეტევებზე გადაერთვნენ, შედეგიან გარღვევებს ახორციელებდნენ და როცა ლექსო ლაფანაშვილმაც შორიდან მიზანი გაისწორა, ანგარიში გათანაბრდა.

ავიატორებს მართებდათ, დაცვა გაემაგრებინათ და პასებით დასაბომბ წერტილად მეტოქის სამწამიანი ექციათ, მაგრამ „დინამოს“ დარად, მოსეშვილის გუნდმაც სისწრაფეზე გააკეთა აქცენტი და სწორედ ამაში დაიჩაგრა.

„ავიამშენის“ მაღლები, თუმც ბურთს იშვიათად იღებდნენ, საქმეს მაინც აკეთებდნენ. როცა „დინამო“ თავს იცავდა, მთელი ყურადღება მეტოქის მეფარეებზე ჰქონდა გადატანილი და პერიმეტრი მოშიშვლებული რჩებოდა. ამით სარგებლობდნენ ავიატორთა უკანახაზელები და სამქულიანებით ბომბავდნენ ტომარაძის გუნდს. ეს განსაკუთრებით მეორე მეოთხედზე ითქმის, როცა გოჩა წოწელიამ ხუთიდან ხუთი სამქულიანი ჩაუგდო „დინამოს“ და მოსეშვილის გუნდის ყველაზე დიდი უპირატესობაც ამ დროს დაფიქსირდა — 47:40. მაგრამ როგორ უნდა სამქულიანების სროლა, ავიატორებს ეს ლაშა გამყრელიძემ აჩვენა, რომელიც მეორე ტაიმში საერთოდ მოუხელთებელი გახდა და „დინამომ“ რომ მოიგო, უპირველესად მისი დამსახურებაა.

პირველი ტაიმის „გამყრელიძე“ კი რევაზ დიდია გახლდათ, რომელიც შორიდანაც წარმატებით ისროდა და საშუალო დისტანციიდანაც, თუმც როცა გამყრელიძემ საკუთარ თავზე აიღო თამაში, იქ დინამოელთა გამარჯვებისკენ წინ გამძღოლის ვინაობაც გაირკვა.

საკვირველია, თუ როგორ ვერ მოახერხეს ავიატორებმა გამყრელიძის შებორკვა, როცა ყველამ იცოდა, რომ „დინამოს“ შეტევების უმრავლესობას სწორედ იგი აგვირგვინებდა. ლაშას ჯადო-სამქულიანებით „დინამომ“ 22:14 მოიგო მესამე მეოთხედი და უკანასკნელ შესვენებაზე ოთხქულიანი ჰანდიკაპით გავიდა.

მეოთხე ათწუთეულში სურათი არ შეცვლილა — გამყრელიძე გამუდმებით დაძვრებოდა მეტოქის სამწამიანში და არც შორიდან ღალატობდა მიზანი, ავიატორები კი ვერაფრით ალაგებდნენ თამაშს — დაცვა ხომ საცერივით ჰქონდათ, შეტევაშიც დიდი ვაინაჩრობით იხვეჭდნენ ქულებს.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, „დინამოს“ კი მყარად ეპყრა ათქულიანი ლიდერობა, როცა ავიატორთათვის იმედის სხივმა გამოანათა. დავით თორთლაძემ მიჯრით ჩააგდო ორი სამიანი, რასაც გოჩა წოწელიამ ამდენივე საჯარიმო მოაყოლა და დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე „დინამო“ ორ ქულასღა იგებდა — 82:80. ყველამ იფიქრა, რომ „ავიამშენი“ ამ შანსს აღარ გაანიავებდა, მაგრამ ბუბა კვიმსაძემ უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და მერე, კიდევ უფრო კრიტიკულ მომენტში, იმავ გამყრელიძემ გაისროლა ლამის მოედნის ცენტრიდან. ეს იყო და ზურაბ ტომარაძეს კისრიდან მძიმე ლოდი მოეხსნა, თავისი გუნდის გამარჯვება საბოლოოდ ირწმუნა და „დინამოს“ „პატარა გმირებთან“ ერთად უზომოდ გაიხარა.

# ქართველი ფრანკოს რეჟიმს შეეწირა?

## ზურაბ აზმაიფარაშვილი: მალე ეცვლებათ ფერი...



ბადრი კეთილაძის ფოტო

**მალიორკული** საჭადრაკო ოლიმპიადის სკანდალურ ენდშპილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მოგეხსენებათ, ფიდე-ს ქართველი ვიცეპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე ესპანურმა პოლიციამ სასტიკად ცემა, რის შემდეგაც ჩვენი დიდოსტატი პალმა დე მალიორკის სატუსაღოში გააქანეს. ზურაბი ორ დღეში თავდებით გაათავისუფლეს, თუმც ეს ინციდენტი სასამართლოს გარეშე არ ჩაივლის.

აზმაიფარაშვილი უკვე საქართველოშია და მეუღლე მარინა მილორავასთან ერთად თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოგვიყვა მალიორკულ თავგადასავლებს. გეცოდინებათ, ახმახი პოლიციელების ხელი ქალბატონ მარინასაც მოხვედრია...

მარინა მილორავა: „ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ხავიერ ოჩოამ და ოლიმპიადის მთავარმა ორგანიზატორმა ანტონიო რამომ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს. მათ საშინელ დღეში ჩააგდეს ტურნირის მონაწილეები და უამრავი ზედმეტი ფული წაართვეს. წარმოიდგინეთ, მიკროავტობუსით ჩვენი სასტუმროდან იმ კაზინომდე მგზავრობაში სადაც თამაშები იმართებოდა, 20-20 ევროს გვახდევინებდნენ. ამ დროს 20 ევრო ერთი სამარშუტო ტაქსით მგზავრობა ღირდა. „ნონას თასის“ გადაცემის ცერემონიალი ხომ საშინლად ჩაატარეს — ზურაბმა ეს ყველაფერი იცოდა, სიმართლეს ეძებდა და ამიტომაც ამოიღეს თვალში. სხვათა შორის, ზურაბის დაკავების შემდეგ გვითხრეს, ადვოკატი აუცილებლად ამ კუნძულის მკვიდრი უნდა იყოსო. როგორც ჩანს, ფრანკოს რეჟიმის შემდეგ იქ ბევრი არაფერი შეცვლილა.“

ზურაბ აზმაიფარაშვილს ბევრი არ უსაუბრია, მორალურადაც და ფიზიკურადაც ძალიან დაღლილი და მხოლოდ თქვენს კითხვებს ვუპასუხებო. მან ადამიანურ თვისებებზე გაამახვილა ყურადღება, სამწუხაროდ, ყველანი მხარში არ დამიდგნენ და ცუდია, რომ საქართველოში ასეთი პიროვნებები ცხოვრობენო. ფიდე-ს ვიცეპრეზიდენტმა მოჭადრაკე ანა მათნაძე იგულისხმა, რომელმაც ამ ინციდენტის შემდეგ თავად აზმაიფარაშვილი გააკრიტიკა.

„მე ის ადამიანი არ ვარ, ცხოვრებაში ნაცრისფერი გზით რომ მიდის და არც ერთ მხარეს არ უხვევს. ბევრჯერ შევმცდარვარ, მაგრამ პიროვნულად ყოველთვის იგივე ვრჩები. სატუსაღოში ფიქრისას დავასკვენი, რომ ადამიანს სიკეთე რაღაც დოზით უნდა გაუკეთო და ზედმეტი არ უნდა მოგივიდეს. მე არ ვამტყუნებ ესპანურ პოლიციას, ისინი ოჩოასა და რამის ბრძანებებს ასრულებდნენ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მხარში დამიდგა, მუდმივად მიკავშირდებოდნენ“ — თქვა აზმაიფარაშვილმა, რომელსაც მარჯვენა თვალის არე გვარიანად აქვს დაზიანებული.

როგორც გაირკვა, დახურვის ცერემონიალის დროს, ზურაბს ფიდე-ს ყოფილ პრეზიდენტ კამპომანესისთვის უთხოვია, სიტყვით გამოსვლისას ორგანიზატორებს შეცდომებზე მიუთითეო. კამპომანესი კი სცენაზე მჭერმეტყველებით გართულა, რის შემდეგაც აზმაიფარაშვილს ცერემონიალზე იმწუთას შემოსულ ფიდე-ს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვისთვის დაუძახია და სწორედ ამ დროს დაწყებულა ვაი-უშველებელი. მოკლედ, როგორც აღმოჩნდა, ქართველი დიდოსტატი სცენისკენ არ მიიწევდა, უბრალოდ, რამის და ოჩოას შეეშინდათ, აზმაიფარაშვილი ილუმჟინოვთან ერთად შემოგვიტევსო და საქმეს მოჰკიდეს ხელი.

და კიდევ, ზურაბის სატუსაღოში წაყვანის შემდეგ რამის და ოჩოას უთათბირიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ქართველისთვის პოლიციელებზე თავდასხმა წაეყენებინათ ბრალად. თუმც ჩვენი ნაკრების ვაჟთა კაპიტანი თამაზ გიორგაძეს და მარინა მილორავას ეს სიცილად არ ჰყოფნით — ის პოლიციელები იმხელა დევეკაცები იყვნენ, ათი აზმაიფარაშვილიც კი ვერაფერს დააკლებდათო.

კეთილი, ტუსაღობა დასრულდა, მაგრამ რა მოხდება სასამართლოზე? აზმაიფარაშვილმა განაცხადა, ახლა ყველა საბუთს შევაგროვებთ, შესაძლოა, 500-600-ფურცლიანი საქმეც აიკინძოს და დამნაშავეებს ყველაფერზე პასუხს ვაგებინებთო.

**ილია ნანობაშვილი**



# ჩია ჩილეც პრობლემაა



**ჩილე 30:24 საქართველო**

საქართველო: სანიკიძე (ნინიძე), ჭავჭავაძე, სანაძე (ზირაქიშვილი), გორგოძე, მჭედლიშვილი, ბოლღაშვილი (კაპ), სარდანაშვილი, ზ. მაისურაძე, ვალიშვილი (ჩიკვაიძე); კვირიკაშვილი (სამხარაძე), ბარკალაია; ელიზბარაშვილი, შკინინი (მაჩხანელი), ფირფილაშვილი, გუგავა, ურჯუკაშვილი

საქართველო: 3 ლელო: მჭედლიშვილი, ვალიშვილი, ურჯუკაშვილი; 3 გარდასახვა: ურჯუკაშვილი; 1 ჯარიმა: ურჯუკაშვილი

ჩილე: 4 ლელო: ვესენეკი 2, ბერტი, ხუანეტი; 2 გარდასახვა: კრუზი; ჯარიმა: კრუზი; არეკნი: ონეტო

სამხრეთამერიკული ტურნე მეტად უიღბლო გამოდგა ბორჯღალოსნებისთვის. შინდისფერმა ლეგიონმა ერთი კვირის წინ ურუგვაისთან შეხვედრაში ვერ შეძლო რევანშის აღება მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხისთვის, ახლა კი სანტიაგოში ჩილესთან დამარცხდა და ინტერკონტინენტალურ თასზე მესამე ადგილიც კი ვერ დაიკავა.

არადა, ყველაფერი ისე დაიწყო, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი. მჭედლიშვილმა პირველივე წუთზე ლელო გაიტანა, რასაც ზაზა ვალიშვილმა 6 წუთში კიდევ ერთი მიაყოლა. მახო ურჯუკაშვილმა ორივე შემთხვევაში ზუსტად შეასრულა გარდასახვა და ჩვენები 14:0 დაწინაურდნენ.

მეათე წუთზე კრისტობალ ვესენეკის ლელოთი ჩილელებმა სხვაობა შეამცირეს, თუმცა ამის შემდეგ პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე უპირატესობა აშკარად ჩვენი იყო.

ჯერ მე-13 წუთზე საჯარიმო შეასრულა ურჯუკაშვილმა ზუსტად, შემდეგ 33-ეზე ლელოც გაიტანა და თავადვე გარდასახა. ჩილელთაგან კრისტიან ონეტომ გამოიჩინა თავი და 27-ე წუთზე არეკნი გაიტანა, ხოლო 36 წუთზე ფრანსისკო კრუზმა ჯარიმა აქცია 3 ქულად. მატჩი ქართველთა უპირატესობით მიდიოდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს ჩვენებს მაინც გაეპარათ კრისტობალ ბერტი და მანაც ჩვენს ჩათვლის მოედანში დაამიწა.

მეორე ნახევარში ქართველებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ, სამხრეთამერიკელებმა კი კრისტობალ ვესენეკისა და ეროლ ხუანეტის ლელოებით ორჯერ გაიხარეს და დაწინაურდნენ კიდეც. 4 გარდასახვიდან ჩილელებმა 2 ზუსტად შეასრულეს — ორივეჯერ ფრანსისკო კრუზმა იმარჯვა. ეს იყო და ეს. 48-ე წუთიდან მოყოლებული გუნდებს ანგარიში აღარ შეუცვლიათ და ჩილელებმაც 30:26 იმარჯვეს.

დამარცხება საწყენია, მით უმეტეს, როდესაც პირველ ნახევარში ასე მშვენივრად ბურთაობ, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ლელოელები“ მხოლოდ 3 ლეგიონერით ეწვივნენ სამხრეთ ამერიკას და ამის გათვალისწინებით, შედეგი მაინც არაა სავალალო.

მეორე შეხვედრაში კი ურუგვაიმ პორტუგალიასთან გაისეირნა — 26:3 მოუგო და ინტერკონტინენტალურ თასს დაეუფლა.

**ლადო ფულუკიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge